საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 14 ივლისი. 2020 წ. №87 (9013) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ავადმყოფობა ყველას კარზე აკაკუნებს!..

ტკივილი ჩვენი...

აფხაზი ჟურნალისტი: საქართველოში მკურნალობის მსურველებს დაბრკოლებებს აფხაზეთში წარმოდგენილი რუსული უწყებები უქმნიან

6

გიორგი გამსახურდია:

ცოტნეს მკურნალობის შემდეგი ეტაპიც ივანიშვილისა და მთავრობის სრული დახმარებით დაიწყო

ცოტნეს მკურნალობისა და რეაბილიტაციის შემდეგი ეტაპი გერმანიის ერთ-ერთ წამყვან, შმიდერის კლინიკაში დღეიდან დაიწყო. როგორც მთლიანად ცოტნეს მკურნალობის პროცესი, ასევე, ეს ეტაპიც განხორციელდა ბატონი ბიძინა ივანიშვილისა და საქართველოს მთავრობის სრული დახმარებით, რისთვისაც უდიდესი მადლობა მათ, — ამის შესახებ ცოტნე გამსახურდიას ძმა გიორგი გამსახურდია Twitter-ის საკუთარ გვერდზე წერს.

ცოტნეს მკურნალობის და რეაბილიტაციის შემდეგი ეტაპი გერმანიის ერთ-ერთ წამყვან, შმიდერის კლინიკაში გუშინ დაიწყო. როგორც მთლიანად ცოტნეს მკურნალობის პროცესი, ასევე ეს ეტაპიც განხორციელდა ბატონი ბ.ივანიშვილის და საქართველოს მთავრობის სრული დახმარებით, რისთვისაც უდიდესი მადლობა მათ. ცოტნე გამსახურდია 2019 წლის 19 დეკემბერს საკუთარ სახლთან დაჭრეს. მას თავდაპირველად, ხეჩინაშვილის კლინიკაში მკურნალობდნენ, შემდეგ კი თურქეთის კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც ის გუშინდლამდე მკურნალობდა. გამსახურდიას დაჭრის ფაქტზე ხუთი პირია დაკავებული.



გია ჯოხთაბერიძის განცხადება

3

ვეტერანი მოფარიკავეები – სიმართლისათვის

9

იწვევს თუ არა 5G მობილური ინტერნეტი კიბოს?

8

ჟურნალისტური გამოძიება

გოქსელ გენჩი თურქი „ოსტაპ ბენდერი“?(4)

4

როგორ ემხობიან ძეგლები საქართველოში

ბოროტება ადამიანის საქციელია და არა.... ძეგლის!

5

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა პარასკევს, 17 ივლისს

ილია II - როდესაც ვფიქრობთ წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, ვრწმუნდებით, რომ საქართველო ღვთის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ არის

ჩვენ, როდესაც ვფიქრობთ ჩვენს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, ვრწმუნდებით, რომ საქართველო ღვთის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ არის, ჩვენ ვმადლობთ უფალს ამ დიდი წყალობისათვის, — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში ქადაგებისას გუშინ განაცხადა. პატრიარქმა სრულიად საქართველოს სვეტიცხოვლობის დღესასწაული მიულოცა და მრევლი დალოცა.

„წარმოიდგინეთ, საქართველოში ჩამოაქვთ კვართი უფლისა, საქართველო ხდება წილხვედრი ღვთისმშობლისა. რა დავიმსახურეთ, რით დავიმსახურეთ, ჩემი აზრით, ეს არის წყალობა ღვთისა, მადლი ღვთისა. ჩვენ უნდა გავამართლოთ ეს წყალობა, ჩვენ მადლობა უნდა შევწიროთ უფალს მისი დიდი წყალობისთვის. თორმეტი მოციქული, მეთევზეები, მაცხოვარი ირჩევს არა მეცნიერებს, არა განათლებულ ხალხს, არამედ უბრალო ადამიანებს. უბრალო ადამიანში შედის მადლი ღვთისა და ჩვენ უნდა მადლობა შევწიროთ უფალს მისი დიდი წყალობისთვის. წყალობა ღვთისა და მადლი ღვთისა მოეფინა 12 მოციქულს, მაგრამ ერთმა ვერ დააფასა“, — აღნიშნა პატრიარქმა.

მისივე თქმით, ადამიანმა უნდა იგრძნოს მადლი ღვთისა, მადლობა უნდა შესწიროს უფალს.

„წმინდა მამები ამბობენ, რომ ერთმა ადამიანმა ვერ ცნო მადლი, ერთმა ადამიანმა უარყო მადლი და ამიტომ დაისაჯა. უფრო სწორად, თვითონ დასაჯა თავისი თავი. დღეს მოხარული და ბედნიერი ვართ, რომ ვხვდებით ჩვენს მორწმუნეებს, რომელთაც გამოიარეს წმინდა ნინოს გზა, ეს, მგონი, 32-ე შემთხვევაა. 33 ადამიანი მოდიოდა ლოცვით და ვედრებით, ლოცულობდნენ საქართველოს გადარჩენისთვის და მსოფლიოსთვის, ახლა ისეთი უცნაური მოვლენებია, რომ ადამიანი ვერც ახსნის, რატომ ხდება ეს. პრესა გადმოსცემს, რომ ახლა მოედო კორონა, სენი შუა აზიის ხალხს, ღმერთმა ყველას აშოროს და ყველას მოეხმაროს, ღმერთი მოწყალეა. შეგეწიოთ უფალი. მე მინდა, დავლოცო ის ადამიანები, რომლებმაც გამოიარეს ეს გზა. როგორ შეძლო მცირეწლოვანმა ქალიშვილმა წმინდა ნინომ გამოევლო ეს შორი გზა. მათ დაურიგდებათ სიგელები“, — განაცხადა პატრიარქმა.

კელი დეგნანი მესტიაში

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი კელი დეგნანი მესტიას ეწვია. საქართველოში აშშ-ის საელჩოს ინფორმაციით, მისი ერთ-ერთი გამორჩეული ვიზიტი სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში იყო. აქ ელჩი გაეცნო მუზეუმის შთამბეჭდავ კოლექციას, რომლის შენარჩუნება და დაცვა აშშ-ის მთავრობამ 2009 წელს დააფინანსა.

„ელჩმა ისიამოვნა ზურულდზე საბაგიროთი ასვლით, სადაც კავკასიონის მთების ულამაზესი ხედები დახვდა. მოგზაურობისას ელჩს შესაძლებლობა მიეცა, შეხვედროდა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე ნინო ვიბლიანს, რომელიც საქართველოში ერთადერთი ქალი გუბერნატორის მოადგილეა“...

დღეიდან დასაშვები გახდა...

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დღეიდან დასაშვები გახდა ღია სივრცეში კულტურული ღონისძიებების ჩატარება, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რჩევების შესაბამისად, — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ღია სივრცეში გამართული **კულტურული ღონისძიებების აუდიტორია** არაუმეტეს **200 მაყურებლით განისაზღვრება**. ამასთან, საბჭომ გუშინდელ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება, ნებადართული გახდეს დახურულ სივრცეში რეპეტიციების ჩატარება, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი პროტოკოლის დაცვით. გარდა ამისა, ჯანდაცვის სამინისტროს შრომის ინსპექცია განაგრძობს **აუზების, სპორტდარბაზებისა და სასტუმროების** შემოწმებას, აქტიურად ხორციელდება რესტორნების პერიოდული ინსპექტირებაც. დღევანდელი მონაცემებით, ოპერირების ნებართვა მიიღო **1 000-მა** სასტუმრომ, რამდენიმე ათეულმა **აუზმა და სპორტდარბაზმა**.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო განაგრძობს არსებულ ეპიდემიოლოგიურ ტენდენციებზე დაკვირვებას და გადაწყვეტილებებს სხვა საქმიანობების გახსნაზე ეტაპობრივად მიიღებს. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში ორგანიზებულად დასაბრუნებლად, ივლისის განმავლობაში, **ავიარეისებს ავიაკომპანიები — Wizz air-ი და Myway Airlines-ი** ასრულებენ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში დაბრუნებული მოქალაქეებისთვის კვლავ სავალდებულოა 14-დღიანი საკარანტინო პროცედურის გავლა.

ბოლო მონაცემებით, საქართველოში კორონავირუსით **ინფიცირების 995 დადასტურებული შემთხვევაა,** საიდანაც **857 პირი უკვე გამოჯანმრთელდა**. უცხოეთიდან სამკურნალოდ საქართველოში გადმოყვანილია საქართველოს 31 მოქალაქე. გარდაცვლილია **15 ადამიანი**. ამ ეტაპზე კარანტინში იმყოფება **5001 ადამიანი,** ხოლო სტაციონარში, მეთვალყურეობის ქვეშ **— 219 პირი**.

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს პარლამენტი, თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძის ხელმძღვანელობით და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

თბილისში საცურაო აუზები გეპატიჟებათ!

რამდენიმე თვის განმვლობაში საზოგადოებაში მუდმივად ისმოდა კითხვა, როდის გაიხსნებოდა ღია თუ დახურული საცურაო აუზები. **დღეისთვის ეს უკვე შესაძლებელია, რადგან ამისთვის მათ სპეციალური შემოწმება გაიარეს.**

აუზზე შესვლამდე მოქალაქეებმა დეზობარიერი და თერმოსკრინინგი უნდა გაიარონ. ასევე, უნდა ეკეთოთ პირბადე გასახდელში შესვლამდე, სანამ უშუალოდ აუზზე არ გავლენ.

საცურაო აუზის მარკეტინგის მენეჯერის გვანცა ბახტაძის განცხადებით, იმისათვის, რომ საცურაო აუზის მიმღებში რიგები არ შექმნილიყო, მათ მარტიდან ონლაინგაყიდვის პლატფორმაზე დაიწყეს მუშაობა. მისივე თქმით, 6 მ² წყლის ფართობზე დაშვებულია ერთი მომხმარებელი. შესაბამისად, მათ 700 ვიზიტორის ნაცვლად აუზზე 350-ის დაშვების უფლება აქვთ.

ამასთან, შეზღონგები 2 მეტრის დისტანციით უნდა იყოს ერთმანეთისგან დაშორებული და გამოყენების შემდეგ დეზინფექცია უტარდება.

ქვეყანას მომავალშიც დასჭირდება მობილიზაცია

კორონავირუსის წინააღმდეგ ქვეყანას მომავალშიც დასჭირდება განსაკუთრებული ყურადღება და მობილიზაცია, რომ ვითარება უსაფრთხო დარჩეს, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა.

„სამწუხაროდ, მსოფლიოს მასშტაბით კორონავირუსთან დაკავშირებული ვითარება არ უმჯობესდება, იზრდება ინფიცირებულთა რაოდენობაც. იმ პრევენციული ღონისძიებების და სისტემური რეაგირებების გამო, რომელსაც საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო მხარდაჭერით, რომელსაც მთავრობა ახორციელებს, ქვეყანაში ამ კუთხით რჩება სტაბილური ვითარება. შემთხვევათა რაოდენობა ყოველდღიურად არ არის მაღალი, ასევე იზრდება გამოჯანმრთელებულთა რაოდენობა და საბედნიეროდ, ასევე გარდაცვალების მაჩვენებელიც ბოლო პერიოდში არ გაზრდილა“.

ენგურთან ე.წ. საზღვარი ცალმხრივად ისევ გახსნეს

მოქალაქეებს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე სპეციალური სამედიცინო შემოწმება უტარდებათ. როგორც ისინი აცხადებენ, ტრანსპორტი არ მოძრაობს აფხაზეთის მიმართულებით და ტვირთით დაახლოებით 2-კილომეტრიანი გზის გავლა უწევთ.

დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ენგურის ხიდი 17 ივლისის ჩათვლით იქნება გახსნილი.

ე.წ. საკონტროლო-გამშვები პუნქტი ყოველდღეს, 9:00 საათიდან 19:00 საათამდე იმუშავებს. ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ პანდემიის პერიოდში, 14 მარტიდან ჩაკეტილი ე.წ. საზღვარი ცალმხრივად, უკვე მესამედ გახსნა.

ნათია თურნავა კელი დეგნანთან ერთად სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონს სტუმრობდა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან კელი დეგნანთან ერთად, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონს ესტუმრა. ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, შიდა ტურიზმის მხარდაჭერის მიზნით, განხორციელებულ ტურში ასევე მონაწილეობდნენ ბიზნესსექტორის წარმომადგენელი ქალები.

მათივე ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში კელი დეგნანი ზუგდიდში ბესო ჭითანავას საოჯახო სამზარეულოს სტუმრობდა, სადაც ადგილზე გაეცნო სამეგრელოს რეგიონის უნიკალურ ტრადიციებსა და მეგრულ კერძებს. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში სტუმრობისას ელჩმა ასევე დაათვალიერა ენგურის ჰიდროელექტროსადგური და რეგიონის სხვა ღირსშესანიშნაობები. სვანეთში მათ მოინახულეს მესტია, იფარი და უშგული, წმინდა გიორგისა და ლამარიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიები, ადგილობრივი მუზეუმი და სხვა ღირსშესანიშნაობები.

საელჩო საქართველოს მოქალაქის დაჭრასა და დაკავებას ეხმაურება

საქართველოში აშშ-ის საელჩო რუსი სამხედროების მიერ საქართველოს მოქალაქის დაჭრასა და დაკავებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში შეწუხებულია და ღრმა შეშფოთებას გამოთქვამს ცნობებზე რუსეთის მიერ მართული უსაფრთხოების ძალების მხრიდან საქართველოს მოქალაქის მიმართ გასროლის, დაჭრისა და დაკავების ფაქტთან დაკავშირებით 11 ივლისს, სოფელ ქვემო ჭალის მახლობლად, რუსეთის მიერ ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარედ.

ჩვენ ვგმობთ გასროლისა და დაკავების ფაქტს, რაც კიდევ ერთი გამოვლინებაა ვითარების გამწვავებისკენ მიმართული პროვოკაციული ქმედებებისა, რასაც რუსეთის მიერ მართული ძალები ამ ბოლო კვირების განმავლობაში ახორციელებენ...“

ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜ-ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ **სამხედრო ძალებმა სომხეთის საგუშაგოზე შეტევა განახორციელეს, არიან დაღუპულები. ამის შესახებ აზერბაიჯანული მედია წერს. მათივე ცნობით, არტილერიის, ნაღმტყორცნებისა და ტანკების გამოყენებით განადგურებულია მოწინააღმდეგის საყრდენი პუნქტი, საარტილერიო დანადგარები, საავტომობილო ტექნიკა და ცოცხალი ძალა.**

ამასთან, აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრო სამი აზერბაიჯანელი სამხედროს დაღუპვას ადასტურებს. 12 ივლისს აზერბაიჯანი-სომხეთის საზღვარზე სომეხ და აზერბაიჯანელ სამხედროებს შორის დაპირისპირება მოხდა. თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აზერბაიჯან-სომხეთის საზღვართან მომხდარ დაპირისპირებას გამოეხმაურა.

როგორც თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული, თურქეთი მკაცრად გმობს სომხეთის სამხედრო ძალების მიერ აზერბაიჯანის თოვუზის რეგიონზე თავდასხმას.

ვიზიარებთ ჩვენი ძმებისა და მეგობრების, აზერბაიჯანელი ხალხის, ასევე აზერბაიჯანის მთავრობის მწუხარებას გარდაცვლილი აზერბაიჯანელი ჯარისკაცების გამო და დაჭრილებს სწრაფ გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ.

ის ფაქტი, რომ ეს სომხეთის აგრესიული ნაციონალიზმის კიდევ ერთი გამოხატულებაა, რომელიც აზერბაიჯანმა აღკვეთა, არის მყარი მტკიცებულება, რომ ეს აგრესია უპასუხოდ არ ჩაივლის. სომხეთის მცდელობები, რომელიც ემსახურება მის მიერ წლების განმავლობაში აზერბაიჯანის ტერიტორიის, მთიანი ყარაბაღისა და მიმდებარე ადგილების უკანონო ოკუპაციისგან საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების გადატანას, ასევე პოლიტიკური შეთანხმების მიღწევის შეფერხების მიზნით, კონფლიქტისთვის ახალი განზომილებების მიცემას, აუცილებლად წარუმატებელი იქნება. სომხეთმა უნდა დათმოს ასეთი სახიფათო ტაქტიკები, სამაგიეროდ კანონისა და საღი აზრის გზა აირჩიოს. სომხეთის ავანტიურიზმი, რომელიც მის შესაძლებლობებს სცდება, კიდევ ერთხელ მიუთითებს სომხეთის განსჯის უნარის ნაკლებობაზე, ჩვენს რეგიონში უსაფრთხოებისა და მშვიდობისთვის ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

„ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲘᲓ ᲤᲣᲚᲡ ᲮᲐᲠᲯᲐᲕᲡ

ᲩᲕᲔᲜ **ვხედავთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ძალიან დიდ ფულს ხარჯავს იმაში, რომ სახელი გაუტეხოს ქვეყანას საზღვარგარეთ, თუმცა ეს მცდელობები წარუმატებელია, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენმა საერთაშორისო პარტნიორებმა ძალიან კარგად იციან, რა ხდება სინამდვილეში საქართველოში,** — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ „ქრონიკას“ განუცხადა. მისი თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ თავის საქმიანობით მუდმივად გამოირჩეოდა ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებით.

„რამდენი ფულიც უნდა დახარჯოს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ე.წ. ლობიში, მათ ვერ ექნებათ წარმატება ამ სფეროში და მაქსიმუმია განცხადებები, რაც ტექნიკური ჯგუფის მიერ მომზადებულ დოკუმენტში/დოკუმენტებში შეპარვით იდება. ახლაც კონგრესის მიერ განსახილველ დოკუმენტში ერთი ფრაზა შეაპარეს. ეს არის პოლიტიკური ძალა, რომელიც როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ თავის საქმიანობით მუდმივად იყო გამორჩეული ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებით“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ

100 ᲓᲦᲔᲨᲘ **საქართველო გადარჩება და იქნება ქვეყანა ან საქართველო აღარ იქნება,** — ამის შესახებ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, უკრაინის რეფორმების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა ახალგაზრდებთან ონლაინდიალოგისას განაცხადა. როგორც მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, უკრაინაში ძალიან კარგი პოზიციები აქვს, თუმცა სამშობლოს გარეშე დარჩენას არ აპირებს.

„ჩემი სამშობლო არის საქართველო. შემდეგი 100 დღე არის გადამწყვეტი. ჩვენ გვიკეთებენ ანესთეზიას საქართველოში, რომ დაწყნარდით, გაჩუმდით, ხელი არ გაანძრიოთ, ფეხი არ გაანძრიოთ. ეკონომიკას კლავენ. რატომ არ უშვებენ ტურისტებს? ტურისტები არის ერთადერთი, რითაც ცხოვრობს საქართველო. არ უშვებენ, რადგან რაც მეტად ღარიბი იქნება ხალხი, მით უფრო ადვილად, უფრო იაფად გაიყიდება. ამის გადატეხა შეიძლება მარტო ახალგაზრდული ენთუზიაზმით, ყველასთან მისვლით, ყველა ადამიანთან დალაპარაკებით, რწმენის დაბრუნებით.“

მისივე თქმით, აპირებს უზენაეს სასამართლოში ჩამოიყვანოს უცხოელი მოსამართლეებიც, პირდაპირ ამ უცხოელ მოსამართლეებს მიეცემათ საშუალება, რამდენიმე წელი მაინც აღასრულონ მართლმსაჯულება, რომ არ იყოს სათქმელი, იმის ნათესავი, ამის ნათესავი, ახლობელი და რაღაც.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘᲐ

„ᲐᲘ�გᲠᲣᲞᲘᲡ“ **ელექტრომობილების ქარხნისთვის საჭირო ტექნოლოგიური სიმძლავრეები უკვე საქართველოშია. საწარმოო ხაზი და ტექნოლოგიური სიმძლავრეები, რომელიც კომპანიამ პარტნიორისგან, ავტოინდუსტრიის ჩინური გიგანტი კომპანია „ჩანგანისგან“ ჯერ კიდევ 2019 წლის შემოდგომაზე შეიძინა და დეკემბერში უნდა ჩამოსულიყო, საქართველოში 2020 წლის ივლისის პირველ რიცხვებში ჩამოვიდა, ვინაიდან „კოვიდ-19“-ის გამო შექმნილმა ვითარებამ ლოგისტიკური შეფერხებები გამოიწვია.**

ქუთაისში, აეროპორტის ტერიტორიაზე, სადაც ელექტრომობილების ქარხნის მშენებლობისთვის განკუთვნილი მიწა მდებარეობს, გუშინ ბრიფინგი გაიმართა. ინდუსტრიული ჰოლდინგ „აიგრუპის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე კახაბერ გულედანმა მიმდინარე საკითხებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

„გარდა იმისა, რომ პანდემიის გამო დაგვიანდა საწარმოო ხაზის მოწოდება, ვერ დავიწყეთ ვერც მშენებლობა, რადგან ამ კონტექსტში უმნიშვნელოვანესი საკითხია კადრების გადამზადება და მივლინებები. ქარხნის მშენებლობისთვის და ასევე, ტექნოლოგიური სიმძლავრეების გამართვისთვის ჩინეთიდან ქუთაისში უნდა ჩამოსულიყვნენ ინჟინრები, ასევე, მივლინებით ჩინეთში საჭირო გადამზადებისთვის უნდა გაგვეგზავნა ადგილობრივი კადრები.

ეს მოქმედებები 2020 წლის იანვარ-თებერვალში გვქონდა დაგეგმილი, თუმცა დღევანდელ დღემდე შეჩერებულია მიმოსვლა. იმედს ვიტოვებ, არსებული ვითარება თანდათან დასტაბილურდება, რაც მოგვცემს საშუალებას, განვაგრძოთ დაწყებული პროცესი. თუმცა, ამ გადასახედიდან უკვე ჩანს, რომ დაპირებული თარიღები გადაიხედება. დღეს ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენი მხრივ არ დავიშურებთ რესურსებს და ენერგიას, რათა დროულად დაიწყოს დაპირებული მშენებლობა, მალე ვიხილოთ ქართული წარმოების ელექტრომობილები“, — განაცხადა კახაბერ გულედანმა. პროექტის თანახმად, ინდუსტრიული ჯგუფი „აიგრუპი“ ქუთაისში ინდუსტრიული კომპლექსის მშენებლობას იწყებს. გეგმის მიხედვით, პირველი პროექტი ელექტრომობილების ქარხანაა და მისი ამოქმედებიდან 18 თვის ვადაში ბაზარზე 5 000 ელექტრომობილი გამოვა.

ᲒᲘᲐ ᲯᲝᲮᲗᲐᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲑᲔᲥᲐᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲡᲘᲪᲠᲣᲔ - ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲒᲘᲐ ᲯᲝᲮᲗᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔᲡ ᲓᲐ ᲑᲔᲥᲐᲣᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗ „ᲙᲝᲛ�პᲔᲢᲔᲜᲢᲣᲠᲝᲑᲐᲖᲔ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲖᲘᲘᲡ ᲛᲔᲥᲝᲜᲔ ᲛᲔᲓᲘᲐᲡ“ ᲢᲧᲣᲘᲚᲘᲡ ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲐᲮᲚᲓᲔᲜᲡ ᲢᲧᲣᲘᲚᲘᲡ ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲠᲔᲑᲐᲡ



პარასკევს, 10 ივლისს, დარგობრივი ეკონომიკის საკომიტეტო მოსმენაზე, სადაც ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონში ცვლილებების პაკეტი განიხილებოდა, მაგთიკომის დამფუძნებელმა გია ჯოხთაბერიძემ სიტყვით გამოსვლისას გაახმოვანა, რომ ორმა უმსხვილესმა საერთაშორისო კომპანიამ კახი ბექაურის თავმჯდომარეობის პერიოდში დატოვა საქართველო. ეს სიმართლეა!

საქართველოდან გასულ კომპანიებში, რისი გადამოწმების საშუალებასაც იძლევა სხდომის ჩანაწერი, გია ჯოხთაბერიძემ დაასახელა მეტრომედია (ცნობისთვის, საბოლოოდ საქართველოს ბაზრიდან გავიდა 2017 წელს) და თელიასონერა (ცნობისთვის, საბოლოოდ საქართველოს ბაზრიდან გავიდა 2018 წელს) და არა ვიონი საქართველო (ბილაინი), რომელსაც საქართველოდან გასული კომპანიების რიცხვში არასწორად და ტყუილის ტირაჟირებით ასახელებს კომისიის თავმჯდომარე კახა ბექაური. გია ჯოხთაბერიძემ ბილაინთან მიმართებაში განაცხადა, რომ კომპანიას სურს საქართველოდან გასვლა, მაგრამ „მყიდველი ვერ იპოვნა“.

საქართველოს მობილურ ოპერატორებს, რომლებიც მობილური მომსახურების გასაწევად საჭირო 10-წლიან ლიცენზიებს ფლობდნენ, 2015 წელს მოქმედი ლიცენზიების ვადის ამოწურვამდე მოსთხოვეს ლიცენზიების საფასურის გადახდა, რაც განხორციელდა კიდეც. ეს გახდა ერთ-ერთი მიზეზი, რამაც აიძულა უდიდესი საერთაშორისო კომპანიები, მეტრომედია ერთმნიშვნელოვნად და, სავარაუდოდ, თელიასონერაც, დაეტოვებინათ საქართველო.

გთხოვთ, იხილოთ დოკუმენტური მტკიცებულება — კონკრეტულ საკითხზე სხდომის ჩანაწერი.

https://www.facebook.com/watch/?v=667557417159406

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲜᲐᲠᲛᲐᲜᲘᲐ: ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲛᲔᲬᲘᲚᲔᲛ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲐᲣᲐᲠᲔᲡᲝᲡ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ **როლი და ფუნქცია იქნება ის, რომ წილის გასხვისების შემთხვევაში ახალმა მეწილემ არ გააუარესოს მომხმარებელთა უფლებები,** — ამის შესახებ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ დავით ნარმანიამ „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის შესახებ ჟურნალისტებს განუცხადა.

„ეს იქნება რეგულირების ერთ-ერთი ახალი ინსტრუმენტი, რომელის მიხედვითაც ჩვენ შევაფასებთ, თუ 5% ან მეტი წილის გაყიდვის შემთხვევაში შემოსულ მეწილეს რამდენად ექნება უნარი, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ის პასუხისმგებლობები და ვალდებულება, რაც ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორს ეხება.“

ᲒᲝᲥᲡᲔᲚ ᲒᲔᲜᲩᲘ ᲗᲣᲠᲥᲘ „ᲝᲡᲢᲐᲞ ᲑᲔᲜᲓᲔᲠᲘ“?(4)

ᲐᲛᲐᲕᲔ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ **გამოქვეყნებულ რიგით მესამე წერილში (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 29.06.2020წ., №80) მკითხველს ვაცნობე, რომ უკვე ორი კვირაა, რაც საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ჩემ მიერ დასმულ კითხვებზე პასუხები „არ“ ან „ვერ“ მაღირსა. თუმცა, ვიმედოვნებდი, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდი ყურადღების ღირსად მაინც ჩამთვლიდა. როგორც იქნა, ჩამთვალა და ნანატრი პასუხებიც მივიღე. მაგრამ, სანამ გაგაცნობდეთ „მგფ“-ის აღმასრულებელი დირექტორის გიორგი შენგელიას პასუხებს, მინდა, მკითხველის ყურადღება ერთ საყურადღებო ფაქტზე გავამახვილო. დამიკავშირდა ჩემი კოლეგა, ჟურნალისტი ქეთევან ხომერიკი, რომელთან ერთად ვატარებთ არაერთ ჟურნალისტურ გამოძიებას. წინა წერილში მოგაწოდეთ ინფორმაცია, რომ მას გზავნილით დაემუქრა ჩემი გამოძიების „გმირი“ – გოქსელ გენჩი : თქვენ გყავთ ორი მცირეწლოვანი შვილი და შეწყვიტეთ ჩემზე წერილების წერაო. ამ შემაშფოთებელ ფაქტზე ქეთევან ხომერიკმა შეატყობინა საქართველოს უშიშროების სამსახურს (სუს-ს) და მისი, ასევე, მისი ოჯახის წევრების დაცვა სთხოვა. წერილში ჩემი კოლეგის დაცვის საქმეში მთელ იმედს ვამყარებდი „სუს“-ზე და არა პროკურორრ ჩიქობავაზე, მაგრამ არანაკლებ შემაშფოთებელი რამ მოხდა – „სუს“-ის ადმინისტრაციის უფროსმა ნანა არჩვაძემ ქალბატონ ხომერიკის განცხადება გადაუგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ მოტივით, რომ ეს ჩვენი საქმე არ არისო. როგორც მე ვიცი, „სუს“-ი არის სახელმწიფოს უშიშროება და ის ვალდებულია, საკუთარი მოსახლეობა დაიცვას გარეშე დივერსანტებისგან, კრიმინალებისგან,მოძალადეებისგან და ასე შემდეგ. მით უფრო, წერილში ნათლად იყო თქმული, რომ სავარაუდოდ გოქსელ გენჩი, პირდაპირ თუ ირიბად, დაკავშირებული იყო საერთაშორისო ტერორისტ ახმეტ ჩატაევთან. რატომ გადასცა „სუს“-მა ასეთი საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომლის კომპეტენციაა მხოლოდ შინაური კონფლიქტების აღკვეთა? როგორც ჩანს, შსს-მაც იმდენად არასერიოზულად აღიქვა „სუს“-ის ეს ნაბიჯი, რომ საერთოდ არავითარი რეაგირება არ მოუხდენია; და რამდენად სამარცხვინოა ჩვენი სახელმწიფოსთვის, რომ გოქსელ გენჩის საქმიანობით დაინტერესდა მხოლოდ საქართველოში თურქეთის საელჩო. მანამდე კი ქეთევან ხომერიკმა მისწერა წერილი თურქეთის რესპუბლიკის სავაჭრო პალატას და მიიღო პასუხი, რომ გოქსელ გენჩის სამშენებლო ფირმა „გენჩ ინშაათი“ 1976 წლიდან არის სავაჭრო პალატის წევრი. თუმცა, მათ ბაზაში არ არის ინფორმაცია ამ კომპანიის მშენებლობებისა და განხორციელებული პრექტების შესახებ. ანუ, თურქეთის სავაჭრო პალატას არაფერი სცოდნია „ნახევარი თურქეთის აღმშენებლის“ სამშენებლო საქმიანობაზე. სამაგიეროდ, პროკურორმა ჩიქობავამ იცის „გოქსელ აღმშენებელის“ მოღვაწეობაზე უფრო მეტი, ვიდრე თურქეთის რესპუბლიკის სავაჭრო პალატამ. ქალბატონი სალომე ხომ რელიგიური ფანატიკოსის დაჟინებით უმტკიცებდა სასამართლოს საპირისპიროს – ნახევარი თურქეთი ააშენაო...**



საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

1798-გ-2-2020063011119 N 1798-გ 30/06/2020

ჟურნალისტ გიორგი კორძაძეს
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის N146
ტელ.: 571 77 61 95

ბატონო გიორგი,

გიგზავნით მიმდინარე წლის 10 ივნისის #2369 თქვენი განცხადებით მოთხოვნილ, სსიპ მუნიციპალურ განვითარების ფონდში არსებულ ინფორმაციას:

1. თქვენს განცხადებაში მითითებული საერთაშორისო ტენდერი ჩატარდა აზიის განვითარების ბანკის მიერ დადგენილი შესყიდვების წესების შესაბამისად. აღნიშნული წესებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პირველი თავის მე-19 მუხლის შესაბამისად პრეტენდენტებს უნდა წარმოედგინათ სატენდერო წინადადებების საბანკო გარანტია უფლებამოსილი ქვეყნიდან. თქვენს განცხადებაში მოცემულმა ტენდერში მონაწილე პირმა სატენდერო წინადადებების საბანკო გარანტია წარმოადგინა არაუფლებამოსილი ქვეყნიდან, რის გამოც ავტომატურად მოხდა მისი დისკვალიფიკაცია ტენდერის პირობების შესაბამისად და აღარ განხორციელებულა შემდგომ ეტაპზე წინადადებების დეტალური განხილვა და შეფასება.

2. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თქვენს განცხადებაში მოცემული ტენდერში მონაწილე პირის დისკვალიფიკაციის მოხდა ტენდერის შეფასების სწყის ეტაპზე.

3. პროცედურები ფონდმა განახორციელა მოქმედი კანონმდებლობის და აზიის განვითარების ბანკის მიერ დადგენილი შესყიდვების წესების სრული დაცვით და ფონდის მხრიდან მოქმედი კანონმდებლობის ნორმების დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

პატივისცემით

გიორგი შენგელია

აღმასრულებელი დირექტორი

დირექცია

GENÇ İNŞAAT LİMİTED ŞİRKETİ

From: Haluk ATAOL (haluk.ataol@atonet.org.tr)
To: katekhomeriki@yahoo.com
Cc: onder.ortakci@atonet.org.tr
Date: Thursday, June 25, 2020, 01:07 PM GMT+4

Dear Sir or Madam

GENÇ İNŞAAT LİMİTED ŞİRKETİ is an active member of our
However, the information you asked is not available in our dat

You can also contact the Construction Contractors Confedera

Best Regards

Gönderen: Kate Khomeriki <katekhomeriki@yahoo.com>
Gönderildi: 25 Haziran 2020 Perşembe 01:48
Kime: ATO ILETISIM
Konu:

To: The chamber of commerce of turkey
from: journilist kate khomeriki
tel: 592 53 53 03.
mail: katekhomeriki@yahoo.com

request for information

dear, Sir or Madam,
first of all let me exsplain the purposof my mail : i am journilist from

ჩემს კოლეგასთან ქეთევან ხომერიკთან ჩავწერე ბლიც-ინტერვიუ:

– ქეთი, ვის შეხვდი თურქეთის საელჩოში ?

– საელჩოში შევხვდი თურქეთის ატაშეს სავაჭრო საკითხებში.

– რითი დაგულისყურდა ატაშე, რაში გამოიხატებოდა მისი დაინტერესება გოქსელ გენჩის პიროვნებისადმი ?

– დაგულისყურდა, თუ რას საქმიანობს თურქეთის მოქალაქე გოქსელ გენჩი საქართველოში, მოიგო თუ არა რომელიმე ტენდერი. განსაკუთრებით დაინტერესდა მისი ყალბი დოკუმენტაციით, რომლითაც გოქსელ გენჩი მონაწილეობას იღებდა ტენდერებში. მან მადლობა გადამიხადა და მითხრა, რომ აუცილებლად გოქსელ გენჩზე და მის საქმიანობაზე საქართველოში მისი ქვეყნის სათანადო სამსახურები დაიწყებენ მოკვლევას. სხვა დეტალებზე, რაზეც იყო საუბარი, ამ ეტაპზე თავს შევიკავებ. ვიტყვი ერთს, რომ ჩვენი თანამშრომლობა გრძელდება, რაც გამოიხატება ინფორმაციების მოგროვებასა და გაცვლაში, და გაგრძელდება მომავალშიც. ვაფიქსირებ პატივისცემას საქართველოში თურქეთის საელჩოსადმი და მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო მათ ამ შეხვედრის მოწყობისთვის.

– როგორც ვიცი, თქვენ საქართველოში ერაყის კონსულსაც შეხვდით. რაზე ისაუბრეთ, რა დოკუმენტები წარუდგინეთ? – ჩემთვის ცნობილია, რომ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2016 წლის 3 თებერვალს გამოცხადებულ თბილისი-რუსთავი-წითელი ხიდის მონაკვეთის მოდერნიზაციის ტენდერში გოქსელ გენჩმა წარადგინა ერაყული ბანკი „ჩექინ ზუ“-ს საგარანტიო წერილი, ბანკისა, რომელიც არ არსებობს, რაც დაადასტურა საქართველოში ერაყის კონსულმა. მან გადაათვალიერა ტენდერში გოქსელ გენჩის მიერ წარდგენილი დოკუმენტები და ყოველი ფურცლის შემდეგ მწარე ღიმილით იმეორებდა – it's fake (ეს ყალბია). ჩვენც შევთანხმდით თანამშრომლობაზე და ინფორმაციის გაცვლაზე.

ქეთევან ხომერიკის მონაყოლიდან საყურადღებოა, რომ საქართველოს მოქალაქის ინტერესების დაცვით უფრო შეწუხებულები არიან უცხო ქვეყნის დიპლომატები, ვიდრე ჩვენი სათანადო უწყებები, რაც არც მეტი, არც ნაკლები, სამარცხვინოა. მახსენდება ერთი ლიტერატურული გმირის ამოძახილი: **რაღაც სიდამპლეა დანიურ სახელმწიფოშიო. ამ შემთხვევაში სიტყვა „დანიურს“ ვცვლი „ქართულზე“...**

ახლა გთავაზობთ დანაპირებს – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პასუხებს, რომლებსაც იობის მოთმინებით ველოდი 20(ოცი) დღე. შეგახსნებთ, ჩემი კითხვები „მგფ“-სადმი გამოქვეყნებულია მეორე წერილში **(იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“,12.06.2020წ.,№72)**.

„ბატონო გიორგი,

გიგზავნით მიმდინარე წლის 10 ივნისის №2369 თქვენი განცხადებით მოთხოვნილ, სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდში არსებულ ინფორმაციას: 1) თქვენს განცხადებაში მითითებული საერთაშორისო ტენდერი ჩატარდა აზიის განვითარების ბანკის მიერ დადგენილი შესყიდვების წესების შესაბამისად. აღნიშნული წესებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პირველი თავის მე-19 მუხლის შესაბამისად პრეტენდენტებს უნდა წარმოედგინათ სატენდერო წინადადებების საბანკო გარანტია უფლებამოსილი ქვეყნიდან. თქვენს განცხადებაში მოცემულმა ტენდერში მონაწილე პირმა სატენდერო წინადადებების საბანკო გარანტია წარმოადგინა არაუფლებამოსილი ქვეყნიდან, რის გამოც ავტომატურად მოხდა მისი დისკვალიფიკაცია ტენდერის პირობების შესაბამისად და აღარ განხორციელებულა შემდგომ ეტაპზე წინადადებების დეტალური განხილვა და შეფასება. 2. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თქვენს განცხადებაში მოცემულ ტენდერში მონაწილე პირის დისკვალიფიკაცია მოხდა ტენდერის შეფასების საწყის ეტაპზე. 3. პროცედურები ფონდმა განახორციელა მოქმედი კანონმდებლობის და აზიის განვითარების ბანკის მიერ დადგენილი შესყიდვების წესების სრული დაცვით და ფონდის მხრიდან მოქმედი კანონმდებლობის ნორმების დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

პატივისცემით
აღმასრულებელი დირექტორი გიორგი შენგელია“.

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ წავიკითხე „მგფ“-ის აღმასრულებელი დირექტორის პასუხები და მივედი აზრამდე, რომ ეს არის „მუნდირის ღირსების დაცვის“ საკმაოდ უსუსური მცდელობა. ამიტომ ბატონ აღმასრულებელ დირექტორს მივმართე ამ განცხადებით: - ბატონო გიორგი! მადლობას გიხდით თქვენი წერილისთვის, რომლითაც მაცნობეთ, რომ თურქული კომპანია „გენჩ ინშაათი“ 2016 წლის 03 თებერვალს გამოცხადებული ტენდერიდან დისკვალიფიცირებულ იქნა იმ მიზეზით, რომ მან წარმოადგინა ერაყული ბანკი „ჩექინ ზუ“-ს საბანკო გარანტია, იმ დროს, როცა ერაყი არ იყო აზიის განვითარების ბანკის წევრი ქვეყანა, ანუ დისკვალიფიკაციის დასაბუთება ხდება აზიის განვითარების ბანკის მომქმედ ინსტრუქციაზე აპელირებით. შემხვედრი საჭიროებიდან და თქვენი წერილის შინაარსის მხედველობაში მიღებით, გთხოვთ, პასუხი გამცეთ შემდეგ კითხვებზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოსათვის დადგენილი ნორმების მოთხოვნათა ფარგლებში, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, „მგფ“-ი წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილ ადმინისტრაციულ ორგანოს. მაშ, ასე:

პირველი: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეოთხე მუხლის მეორე ნაწილი განმარტავს, რომ დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისთვის ხელის შეშლა. აგრეთვე, მათთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული რაიმე უპირატესობის მინიჭება. ამის ფონზე ის, რომ „მგფ“-მა არ გამოიკვლია ე.წ. ერაყული ბანკი სახელად „ჩექინ ზუ“-ს ბუნებაში არარსებობის ფაქტი და ამის თაობაზე არ აცნობა საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს, ვინაიდან აშკარა იყო სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, ჩაიდინა თუ არა ამით „მგფ“-მა კომპანია „გენჩ ინშაათ“-ისთვის უკანონო უპირატესობის მინიჭება, რადგან დაფარა მის („გენჩ ინშაათის“) მიერ ჩადენილი დანაშაული, ვინაიდან, როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეოთხე მუხლის პირველი ნაწილი განმარტავს, ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე.

მეორე: თუ პირველ კითხვაზე თქვენი პასუხი იქნება იმ სახის, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მითითებული ნორმა არ ავალდებულებდა „მგფ“-ს, ეკვლია ერაყული ბანკი „ჩექინ ზუ“-ს არარსებობა-არსებობის საკითხი და ამაზე ინფორმაცია მიეწოდებინა სამართალდამცავი ორგანოებისათვის, მაშინ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეოთხე მუხლის მესამე ნაწილის მხედველობაში მიღებით, რომელიც ადგენს, რომ საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება და ამავე კოდექსის მეხუთე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის გათვალისწინებით, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, გთხოვთ, განმიმარტოთ, რის საფუძველზე მიაწოდა სამართალდამცავ ორგანოებს „მგფ“-ის მაშინდელმა დირექტორის მოადგილემ ჯუანშერ ბურჭულაძემ ინფორმაცია „გენჩ ინშაათი“-ს წარმომადგენლის ირაკლი კერესელიძის მიერ სავარაუდო დანაშაულის ჩადენის ფაქტის თაობაზე კომპანია „გენჩ ინშაათის“ მფლობელთან – გოქსელ გენჩთან მისი (ჯუანშერ ბურჭულაძის) არაოფიციალური შეხვედრის საფუძველზე, რომელიც 2016 წლის 30 დეკემბრს შედგა?

მაგრამ იმ დროისთვის, თქვენივე წერილის განმარტების თანახმად, კომპანია „გენჩ ინშაათი“ 2016 წლის 03 თებერვალს გამოცხადებული ტენდერიდან დისკვალიფიცირებული იყო უკვე ათი თვით ადრე.

მესამე: პირველი და მეორე შეკითხვებში აღწერილ „მგფ“-ის ორი განსხვავებული გადაწყვეტილების არსებობის მხედველობაში მიღებით, რომლის დროსაც საქმის იდენტური გარემოების არსებობისას განსხვავებული გადაწყვეტილება იქნა მიღებული, გამოიჩინა თუ არა „მგფ“-ის მაშინდელმა დირექტორის მოადგილემ, ბატონმა ბურჭულაძემ პირდაპირი ნეგატიური მიკერძოება ირაკლი კერესელიძის მიმართ, რითაც მან დაარღვია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მერვე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, თავისი უფლებამოსილება განახორციელოს მიუკერძოებლად.

მეოთხე: ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მერვე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს თანამდებობის პირმა, რომელსაც პირადი ინტერესი აქვს, ან არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტილებაზე. აღნიშნული ნორმატიული შინაარსის თანახმად, დაარღვია თუ არა „მგფ“-ის დირექტორის მაშინდელმა მოადგილემ ჯუანშერ ბურჭულაძემ ეს აკრძალვაც, როდესაც მონაწილეობა მიიღო იმ ადმინისტრაციულ პროცესში, რომელშიც მონაწილეობდა თურქული კომპანია „გენჩ ინშაათი“, ვინაიდან, როგორც დადგენილ იქნა სისხლის სამართლის (074060117801) საქმის გამოძიების პროცესში, ბატონ ჯუანშერ ბურჭულაძეს ჰქონდა პირადი ინტერესი ამ საქმეში, მისი ახლო ნათესავის, ბატონი ჯაბა ლომიძის სახით, რომელიც ამავდროულად „გენჩ ინშაათის“ მფლობელის – გოქსელ გენჩის ბიზნესპარტნიორის ახლო მეგობარიც იყო, და რომელმაც განახორციელა ჯუანშერ ბურჭულაძის არაოფიციალური შეხვედრა გოქსელ გენჩთან 2016 წლის 30 დეკემბრს. ამ არაოფიციალური შეხვედრის შედეგად მოხდა ის, რომ ჯუანშერ ბურჭულაძემ „მგფ“-ის სახელით, ოფიციალური საჩივრით მიმართა გენერალურ პროკურატურას ირაკლი კერესელიძის წინააღმდეგ, რითაც მან მოახდინა იგნორირება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეოთხე მუხლის მესამე ნაწილის, როგორც ეს განმარტებული იქნა ამ განცხადების მეორე შეკითხვაში, რადგან საქმის გარემოებების იდენტურობის შემთხვევაში ეჭვი შესაძლო დანაშაულის ჩადენის თაობაზე „გენჩ ინშაათის“ შემთხვევაში და ირაკლი კერესელიძესთან მიმართებაში მიღებული იქნა განსხვავებული გადაწყვეტილებებით, ვინაიდან ამ ტიპის გადაწყვეტილებების მიღების დროს ჯუანშერ ბურჭულაძე მოქმედებდა, როგორც „მგფ“-ის ოფიციალური პირი და არა, როგორც კერძო პირი. „მგფ“-ს აქვს კანონისმიერი ვალდებულება, განმარტოს ამ ქმედებათა შესაბამისობა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და სხვა რელევანტურ ნორმატიულ აქტებთან.

გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოთ ჩემს ზემოაღნიშნულ კითხვებზე დროის მოკლე და კანონით განსაზღვრულ ვადებში პასუხების გაცემა. პატივისცემით, ჟურნალისტი გიორგი კორძაძე“.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲝᲠᲫᲐᲫᲔ

P.S. **ᲐᲛ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲡ ᲛᲔ ᲛᲘᲕᲐᲬᲕᲓᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ, ᲑᲐᲢᲝᲜ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲒᲐᲔᲪᲜᲝᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲯᲣᲐᲜᲨᲔᲠ ᲑᲣᲠᲭᲣᲚᲐᲫᲘᲡ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲡᲐᲔᲭᲕᲝ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲨᲘ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ.**

Გ. Კ.

ვორონცოვის ძეგლი თბილისში

ბორტება ადამიანის საქციელია და არა.... ძეგლის!

საქართველოს ძეგლების დადგმის, გადატანისა და ჩამოგდების საკმაოდ მდიდარი ისტორია აქვს. თბილისში აღმართული პირველი ძეგლიც კოლონიური ძალაუფლების სიმბოლო იყო, თითქმის ისეთივე, როგორებსაც დღეს მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ებრძვიან.

ბრინჯაოს მეფისნაცვალი

საქართველოში აღმართული პირველი ძეგლი პირდაპირ კავშირშია რუსულ კოლონიალიზმთან. მეფისნაცვალ მიხაილ ვორონცოვის ბრინჯაოს („ორსართულიან სახლზე მაღალი“) ქანდაკება თბილისში 1867 წლის 25 მარტს დადგეს. სწორედ ამ დღეს თქვა გრიგოლ ორბელიანმა, „არის კიდევ სხვა ძეგლი ვარანცოვისა... ეს ძეგლი დიდი ხანია, რაც აღმართულია ჩვენს გულშიო“.

ლენინის ძეგლის გახსნა თბილისში

თუმცა გულში აღმართული, რა თქმა უნდა, არ „ითვლებოდა“, ქალაქში აღმართულმა კი ნახევარ საუკუნეზე მეტხანს გაძლო და მხოლოდ XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში დატოვა კვარცხლბეკი... უფრო სწორად დაატოვებინეს.

„რევოლუციის შემდეგ – ეს ძეგლი მე ვნახე ისტორიული მუზეუმის ეზოში. ფოლადის ფეხები გადახერხილი ჰქონდა“! ვკითხულობთ გალაკტიონ ტაბიძის დღიურში.

შესაძლოა, ვორონცოვის ძეგლი აიღეს I რესპუბლიკის დროს (აქტიურად იცვლებოდა ქუჩებისა და უბნების სახელდება), შესაძლოა, აიღეს ბოლშევიკებმა. ოფიციალურადაც აღების თარიღად მითითებულია 1922 წელი.

სიმბოლურია, რომ ახალმა დამპყრობლებმა, მოედანს, სადაც ვორონცოვის ძეგლი იდგა, თავიანთი ბელადის კარლ მარქსის სახელი უწოდეს, კიდევ ერთი ბელადის, ლენინის ბეტონისგან ჩამოსხმული ბიუსტი კი 1921 წლის 21 სექტემბერს დადგეს რუსთაველის გამზირისა და გრიბოედოვის ქუჩის შესაყართან. ეს ამბავი, ცხადია, შემთხვევით არ მომხდარა, თბილისისა და საქართველოს „გასაბჭოებაში“ დიდი როლი უნდა შეესრულებინათ ძეგლებს. შესაბამისად, დაპყრობის შემდეგ საქართველოზეც გავრცელდა 1918 წლიდან რუსეთში ამოქმედებული ე.წ . „მონუმენტური პროპაგანდის“ ლენინისეული გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა „ბოლშევიკური რეჟიმისა და იდეოლოგიის მოსახლეობის ფართო ფენებში „პოპულარიზაციას“ ქუჩა-მოედნების გაფორმებისა და მონუმენტური ხელოვნების (ქანდაკების, დეკორატიული პანოების, მემორიალური დაფების) მეშვეობით.

გეგმის თანახმად ამხობდნენ „მეფეებისა და მათი მსახურების“ ძეგლებს და სამაგიეროდ, აღმართავდნენ ცნობილი რევოლუციური მოღვაწეებისა და მოვლენების აღსანიშნავ მონუმენტებს“.

ასევე სიმბოლურია ის ფაქტიც, რომ ბიუსტი მე-11 არმიასთან ერთად საქართველოში ჩამოსულმა მოქანდაკემ ვ. სერგეევმა დაამზადა, თუმცა სულ მალე ლენინის ათობით ძეგლს არა ბეტონში, არამედ სპილენძსა და ბრინჯაოში ჩამოასხამენ და საქართველოს ყველა ქალაქსა და სოფელში დადგამენ, მათ შორის დადგამენ ქვეყნის მთავარ მოედანზე, რომელიც იმ დროისთვის თავისუფლების მოედნიდან ლენინის მოედნად იყო გადანათლული.

მეფის რუსეთის პერიოდიდან „საბჭოთა საქართველოს“ შემორჩება მხოლოდ მოქანდაკე ფელიქს ხოდოროვიჩის მიერ დამზადებული ორი ბიუსტი: ალექსანდრე პუშკინისა (1892 წ) და ნიკოლოზ გოგოლისა (1903 წ), თუმცა გოგოლის ბიუსტს, რომელიც 9 აპრილის ბაღში იდგა, მოიპარავენ და უგზო-უკვლოდ გააქრობენ 1990 წელს.

ჯერ - ყველგან, მერე - არსად

1927 წელს ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის ტერიტორიაზე დაიდგა საბჭოთა კავშირში ლენინის ერთ-ერთი პირველი მონუმენტური ძეგლი (მოქ. ივანე ივანოვ-შადრი, არქ. ს. ჩერნიშოვი).

7 მეტრი სიმაღლის ბრინჯაოს ლენინი იდგა ღია რუხი ფერის გრანიტით მოპირკეთებულ 15 მეტრის სიმაღლის კვარცხლბეკზე, თუმცა, შთამბეჭდავი ზომებისა და მოქანდაკის ოსტატობის მიუხედავად, ივან შადრის ეს მნიშვნელოვანი ნამუშევარი, ცხადია, არ იყო საბჭოთა საქართველოს „მთავარი ლენინი“. მთავარი ლენინი ქვეყნის მთავარ მოედანზე უნდა მდგარიყო!

და, აი, 1956 წლის 21 აპრილს თბილისში, ლენინის სახელობის მოედანზე, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა კომუნისტური პარტიის ბელადის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მონუმენტი...

თბილისელებმა ლენინის „სიდიადეს“ 1990 წლის 29 აგვისტოს ღამის 1 საათსა და 20 წუთამდე უყურეს, სწორედ ამ დროს დასრულდა ძეგლის დემონტაჟი, რომელშიც ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ხალხიც მონაწილეობდა.

1990 წლის 30 აგვიტოს გაზეთ „თბილისის“ მიხედვით, ლენინის ქანდაკების აღების „ოპერაციას“ თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი ხელმძღვანელობდა:

„ერთი პიროვნების (ლენინის) ამდენ ქანდაკებას იშვიათად შეხვდებით სხვაგან. ისიც ცნობილია, რომ ბოლო დროს რამდენჯერმე იყო ძეგლის აღების თვითნებური მცდელობა, რის გამოც დაზიანდა ქანდაკების კვარცხლბეკი. როგორც ჩანს, ქვეყნის სხვა ქალაქებში ლენინის ძეგლების აღებამ ჩვენთანაც (თბილისში) წარმოშვა იგივე სურვილი. ...ყოველდღიურად ამ ადგილს იცავდა მილიციელთა გაძლიერებული რაზმი. ადამიანებთან მილიციის სისტემატური შეხლა-შემოხლა უარყოფითად მოქმედებდა ქალაქის ცხოვრების რიტმზე. ყველაფერ ამის გათვალისწინებით საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „ლენინის მოედნის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის შესახებ“, რომელიც ძეგლის გატანას ითვალისწინებს.“

სულ მალე „რეკონსტრუქცია, რომელიც ძეგლის გატანას ითვალისწინებს“, ჩატარდება თბილისის ყველა რაიონის ყველა მოედანზე, ქუჩასა და სკვერში და ეს რეკონსტრუქცია თბილისის საჯარო სივრცეებიდან გააქრობს არა მხოლოდ ლენინის, არამედ საბჭოთა ოკუპაციასთან კავშირში მყოფი ყველა ისტორიული პირის ძეგლსა და სკულპტურულ კომპოზიციას.

დამხობილი „სერგო ორჯონიკიძე“ (გ. ქართველიშვილის კოლექცია)

ძეგლთა დამხობა 90-იანებში...

ნიკო ლეკიშვილი გაკვირვებას გამოთქვამდა თბილისში ლენინის ძეგლების სიმრავლის გამო. და მართლაც, იმ დროისათვის თბილისში იდგა მიხეილ ჭიაურელის ბეტონის ლენინი (მუშტაიდის ბაღი), თეიმურაზ ასათიანის ბრინჯაოს ლენინი (ქალაქი ბორის ძნელაძე), სერგო იაკიმოვიჩის ბრინჯაოს ლენინი (პოლიტექნიკური ინსტიტუტის წინ), დავით ურუშაძის ქვის ლენინი (ცოტნე დადიანის ქუჩა), მიხეილ ყიფიანის ქვის მჯდომარე ლენინი (სახელმწიფო კანცელარიის წინ), ივან შადრის ბრინჯაოს ლენინი ავჭალაში და ვალენტინ თოფურიძის ბრინჯაოს ლენინი თბილისის მთავარ მოედანზე.

ცხადია, ლენინის ძეგლებთან ერთად აიღეს, სხვა ბელადებისა და საბჭოთა იდეოლოგიის მიერ თავსმოხვეული ისტორიული პერსონაჟების ძეგლები. კერძოდ, აიღეს:

ორი სერგო ორჯონიკიძე: ქვის, რომელიც იდგა მუშტაიდის ბაღში და ბრინჯაოსი – გაბაშვილის ქუჩაზე;

ნესტორ კალანდარიშვილი – ლისის ტბაზე სკვერში, დაიკარგა 1991 წ;

ქვის ფელიქს ძერჟინსკი, რომელიც იდგა მ. ჯავახიშვილის ქუჩის სკვერში. დაიკარგა 1990 წ;

ორი ბრინჯაოს ბორის ძნელაძე – ერთი 1930 წლიდან იდგა გ. ლეონიძის ბაღში, მეორე, 1978 წლიდან – ქალაქ ბორის ძნელაძეში, ორივე აიღეს 1990 წ;

ბრინჯაოს სერგეი კიროვი, რომელიც 1939 წლიდან იდგა ვერის ბაღში. აიღეს 1989 წ;

ვასილ კიკვიძე, რომელიც 1958 წელს დაიდგა ვარაზის ხევისა და გმირთა მოედნის გადაკვეთაზე. 1965 წელს გადაიტანეს კიკვიძის სახელობის პარკში. აიღეს 1991 წ;

ქვის კამო, უზნაძის ქუჩაზე. აიღეს 1990წ;

ბეტონის როზა ლუქსემბურგი ნაძალადევის კ/დ პარკიდან, სადაც 1923 წლიდან იდგა ვიდრე 1990 წლამდე;

ბრინჯაოს ალიოშა ჯაფარიძე ჩიტაიას ქუჩაზე მდებარე სკვერიდან – 1991 წ.

გარდა ამ ძეგლებისა, კვარცხლბეკებზე თავი ასევე ვერ შეიმაგრა არაერთმა სკულპტურულმა კომპოზიციამ. ერთ-ერთი პირველი დაეცა (1989 წ) „შრომა, მეცნიერება, ტექნიკა“ (მოქანდაკეები ვ. თოფურიძე, შ, მიქატაძე), რომელიც რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის წინ 1958 წლიდან იდგა და მისი ორივე ნაწილი მნახველს ახსენებდა საბჭოთა ეპოქის ყველაზე ცნობილ სიმბოლოს, ვერა მუხინას „მუშა და კოლმეურნე ქალს“.

სულ რაღაც 9 წელი გაძლო ზურაბ წერეთლის „მეგობრობამ“ დავით აღმაშენებლის ხეივანში, საიდანაც 1990 წელს აიღეს. ერთი წლის შემდეგ იგივე ბედი გაიზიარა კიდევ ერთმა „მეგობრობამ“ – ბეტონისგან ჩამოსხმულმა სკულპტურულმა კომპოზიციამ, რომელიც ვიდრე 1991 წელს არ აიღეს, ავლაბრის მეტროს სადგურის წინ იდგა.

ბევრად ადრე, 1961 წელს აიღეს იოსებ სტალინის ბრინჯაოს ძეგლი (მოქ. სილოვან კაკაბაძე), რომელიც თბილისში, სანაპიროზე იდგა 1939 წლიდან. ცხადია, ქართული წარმომავლობის ბელადის ძეგლის აღება ხალხს არ მოუთხოვია, უფრო პირიქით, ხალხის ნება რომ ყოფილიყო, ძეგლს კიდევ დიდი ხანი არ აიღებდნენ...

ლენინის ძეგლის ნაშთი თავისუფლების მოედანზე

ჯემალ რეხვიაშვილი.

(დასასრული მომდევნო ნომერში)

ავადმყოფობა ყველას კარზე აკაკუნებს!..

აფხაზი ჟურნალისტი: საქართველოში მკურნალობის მსურველებს დაბრკოლებებს აფხაზეთში წარმოდგენილი რუსული უწყებები უქმნიან

ყველაზე ძვირფასი ადამიანისთვის სიცოცხლეა, ხოლო ყველაზე ძვირფასი სიცოცხლეში — ჯანმრთელობა... ამ ძველისძველი გამოთქმის მნიშვნელობას პლანეტაზე ყველა აცნობიერებს. თუმცა XXI საუკუნეში, როცა კაცობრიობა გიგანტური ნაბიჯებით ვითარდება და პროგრესირებს, ეს ჭეშმარიტება ხშირად ავიწყდებათ. ამ თემაზე დამაფიქრა ვითარებამ, რომელიც ორი ათწლეულის განმავლობაში აფხაზეთის სამედიცინო სფეროში ჩამოყალიბდა.

ომის დასრულების შემდეგ პირველ წლებში, ბლოკადაში ცხოვრების პერიოდში აფხაზეთის მოსახლეობა იძულებული იყო, დასჯერებოდა იმ მცირედს, რომლითაც სახელმწიფოს შეეძლო უზრუნველყოფა. სახელმწიფო კი მხოლოდ მცირედს იძლეოდა და ჯეროვანი სამედიცინო დახმარების გარეშე რესპუბლიკაში უამრავი ადამიანი იღუპებოდა.

გავიდა დრო, ცხოვრება შეიცვალა, გაჩნდა წვდომა რუსეთის სამედიცინო სერვისებზე. სხვა ალტერნატივებზე ოცნებაც კი ზედმეტი იყო — აფხაზური პასპორტი ხომ მხოლოდ მეზობელ რუსულ სახელმწიფოში გადასვლის შესაძლებლობას იძლეოდა. თუმცა მაშინაც და დღემდეც, თუკი ოჯახის ბიუჯეტი ამ ფუფუნებას ვერ სწვდება, ადამიანები რესპუბლიკაში რჩებიან და ადგილობრივი ექიმების კეთილ ნებას ანდობენ თავს. დიახ, არსებობს სახელმწიფო პროგრამაც, რომლის ფარგლებშიც რუსულ კლინიკებში სამედიცინო მომსახურების მიღება აფხაზეთის მკვიდრთათვის უფასოდ არის შესაძლებელი, მაგრამ ეს ძალზე ხანგრძლივი საქმეა, ჯამში მაინც ძვირი ჯდება, ბოლო წლებში კი ამ კლინიკების მიმართ აფხაზეთის დავალიანების გამო საერთოდაც შეუძლებელი გახდა...

2000-იანი წლების დასაწყისში რესპულიკაში დაიძრა ხმები ადამიანებზე, რომლებიც სამკურნალოდ ენგურს იქით გადადიოდნენ. თავდაპირველად მხოლოდ ერთეულებზე იყო საუბარი, მაგრამ დროთა განმავლობაში მათი რაოდენობა სულ უფრო იზრდებოდა. და თუ თავიდან აფხაზები საქართველოში სამკურნალოდ სიარულის ფაქტს საგულდაგულოდ მალავდნენ, ახლა ეს სრულიად დაუფარავად კეთდება, — ამისთვის საჭიროა, მიმართონ სხვადასხვა ადგილობრივ სახელმწიფო სტრუქტურებს შესაბამისი მიმართვის, საშვისა და რიგი სხვა დოკუმენტების მისაღებად.

სადღეისოდ კორონავირუსის პანდემიის გამო შემოღებული მკაცრი საკარანტინო შეზღუდვებისა და ჩაკეტილი საზღვრების პირობებში აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა კვლავ არჩევანის გარეშე დარჩა. თუმცა „ხვრელი“ მაინც არსებობს, უბრალოდ მის შესახებ ბევრმა არ იცის: კერძოდ, დღემდე აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებობს სამედიცინო დაწესებულება, რომლის დახმარებითაც ადამიანებს საქართველოს ტერიტორიაზე მოხვედრა ყოველგვარი საშვებისა და მიმართვების გარეშე შეუძლიათ. ამ კლინიკის სპეცავტომობილი ნებისმიერ დროს დაუბრკოლებლად კვეთს საზღვარს და შეუძლია, აფხაზეთიდან პაციენტი გადაიყვანოს. და ეს ყველაფერი — უფასოდ...

ერთადერთი დაბრკოლება, რომელიც პაციენტს ან მის თანმხლებ პირებს ამ მხრივ შეექმნებათ, რუსი მესაზღვრეებისგან მომდინარეობს, რომლებიც გალის რაიონში ყველა გამშვებ პუნქტზე დგანან. იმ შემთხვევაში, თუკი პაციენტი, მათი მხრიდან ყველა შენიღბული მუქარისა და „განმარტებითი სამუშაოს“ მიუხედავად, საქართველოში სამკურნალოდ წასვლას მაინც არ გადაიფიქრებს, უკან დაბრუნებულს სხვადასხვა სახის სირთულეებს უქმნიან. პირველი პრობლემები რუსეთ-აფხაზეთის საზღვრის კვეთისას შეიძლება, გაუჩნდეთ: ადამიანს შეიძლება, მოულოდნელად „შეუსაბამობები აღმოაჩნდეს“ პასპორტში და საქმე იქამდეც კი მივიდეს, რომ რუსმა მესაზღვრეებმა საზღვარზე არ გადაუშვან. გარდა ამისა, აფხაზეთის მკვიდრს, რომელმაც ქართული მხარის სამედიცინო დახმარებით ისარგებლა, შეიძლება, მოსთხოვონ რაღაც დამატებითი ცნობები, რომლებიც, თავის მხრივ, ახალი ცნობებით იქნება დასამოწმებელი და ასე — დაუსრულებლად... ამასთანავე, მოულოდნელად იწყებს დაგვიანებას პენსია, ხელფასი, შემწეობა... და ეს ყველაფერი — იმ რუსული სტრუქტურების „წყალობით“, რომლებიც აფხაზეთში მრავლადაა წარმოდგენილი...

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რომელიც საქართველოში სამკურნალოდ წასვლის მსურველებს აფერხებთ, არის მითი, რომელსაც აფხაზეთში აქტიურად ავრცელებენ — **„ადგილზე ჩასულ პაციენტებს უფასო სამედიცინო დახმარების მისაღებად საქართველოს მოქალაქეობის მიღებას სთხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მკურნალობა დიდი ფული უჯდებათო“...**

„უფასო ყველი ხომ მხოლოდ ხაფანგშია, არ იცოდი?! საქართველოში რომ უფასოდ გიმკურნალონ, მათი მოქალაქეობის მიღება ან დიდი ფულის გადახდა მოგიწევს“, — აცხადებს ჩვენი რესპონდენტი ნაირა (სახელი შეცვლილია), რომელმაც წლების წინათ საქართველოში ოპერაცია ჩაიტარა.

„იმაში, რომ ეს ვითომდა ქართველების აუცილებელი მოთხოვნაა, ჩვენთან სამკურნალოდ წასვლის ყველა მსურველს აქტიურად არწმუნებენ. და იმასაც ამბობენ, იქ რაღაც ვაქცინას შეგიყვანენ ორგანიზმში, რომ როცა აფხაზეთში დაბრუნდები, მოკვდეო“, — ყვება ქ-ნი ნაირა.

მისივე თქმით, საქართველოში სამკურნალოდ წასვლის გადაწყვეტილება მან მას შემდეგ მიიღო, რაც აფხაზმა ექიმებმა დიაგნოზი ვერ დაუსვეს, კრასნოდარის მხარის კლინიკებში კი 80-დან 100 ათას რუსულ რუბლამდე თანხა მოსთხოვეს. **„ამდენს ჩემი ოჯახი ნამდვილად ვერასოდეს გასწვდებოდა და სხვა გზა აღარ მრჩებოდა“**, — ამბობს ქ-ნი ნაირა.

ყოფილი პაციენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არავითარი საქართველოს მოქალაქეობის მიღება ან ფული მისთვის ქართულ მხარეს არ მოუთხოვია — გამოკვლევაც და შემდეგ რთული ოპერაციაც მას სრულიად უფასოდ ჩაუტარეს. **„ასე რომ, ამ საუბრებს მხოლოდ ხალხის დასაშინებლად აწარმოებენ — რომ ადამიანს შეეშინდეს და საქართველოში სამკურნალოდ არ წავიდეს. ამას ბევრი იჯერებს კიდეც — მე ბევრს ვიცნობ ასეთს“,** — დასძენს ქ-ნი ნაირა.

იმ ფაქტს, რომ საქართველოში მკურნალობის უფასოდ მისაღებად საქართველოს მოქალაქეობის მიღებას არავის სთხოვენ, ადასტურებენ საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრის აპარატშიც.

„ეს ინფორმაცია არის აბსოლუტური აბსურდი და რეალობას აცდენილი. წლის განმავლობაში დაახლოებით 1000-1200 პაციენტი გადმოდის სამკურნალოდ აფხაზეთიდან. ვერც ერთ ფაქტს ვერ დაასახელებენ, როდესაც მათ ვინმემ საქართველოს მოქალაქის პასპორტის აღება მოსთხოვა. მათთვის რეფერალური პროგრამის მოქმედების მთელი ამ 9 წლის განმავლობაში იყო მხოლოდ 10-მდე შემთხვევა, როდესაც ითხოვეს საქართველოს მოქალაქეობა და ხაზგასმით აღვნიშნავთ, ეს — მხოლოდ საკუთარი სურვილის საფუძველზე!“ — განგვიცხადეს სახელმწიფო მინისტრის აპარატში.

პაციენტები აფხაზეთიდან სამკურნალოდ დღესაც დადიან, თუმცა როგორც „აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის“ ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, პანდემიის პერიოდში ნაკადი შემცირდა. აფხაზეთიდან ჩასულები ჯერ სავალდებულო 2-კვირიან კარანტინში იმყოფებიან, ხოლო შემდეგ იწყება დაგეგმილი მკურნალობა.

თავად რეფერალური პროგრამა აფხაზეთის მცხოვრებთათვის უცვლელია — კორონავირუსის პანდემიის ფონზე მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში ფინანსურ და სამედიცინო სფეროებში შექმნილი სირთულეების მიუხედავად, ყველა ის სამედიცინო სერვისი, რომელსაც ეს პროგრამა ითვალისწინებდა, ძალაშია და კვლავინდებურად უფასო.

გარდა ამისა, საქართველოში მოქმედებს სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდებიც, მათ შორის — „ბერი ანდრიას ფონდი“, რომელიც არაერთი აფხაზისთვის მეორე სახლად იქცა...

როდესაც ახლობლის ან ნათესავის სიცოცხლე საფრთხეშია, პოლიტიკა, განხეთქილებები და წყენა უმნიშვნელო ხდება. ყველაფერი უნდა გაკეთდეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადასარჩენად. თითოეულ ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება, თავად გადაწყვიტოს, სად და ვისთან იმკურნალოს. მნიშვნელოვანია არა ადგილი, არამედ მედიკოსების კვალიფიკაცია და აღჭურვილობის ხარისხი. აქ ხომ ადამიანების სიკვდილ-სიცოცხლეზეა საუბარი... სამწუხაროა, რომ პოლიტიკოსებს ეს მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როცა ჯანმრთელობის პრობლემა მათ კარზე აკაკუნებს...

კრისტინა ავიძბა

◉ როდის გავიგებთ სიმართლეს?!

ღალატი თუ შეცდომები!..

ყურადღებით ვადევნებ თვალს წინასაარჩევნო პოლიტიკურ პაექრობათა მარათონზე წამოჭრილ მწვავე საკითხებს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ დავინახე, რომ პოლიტელიტამ თავის სამოქმედო პროგრამაში შეიტანოს უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში საქართველოზე თავსდატეხილ უბედურებათა მოვლენების მიზეზთა გარკვევა და მიუკერძოებელი პოზიციების დადასტურება, კერძოდ:

რატომ არ ხდება აფხაზეთის ომის მიზეზებისა და მის წარმართვაში დაშვებული ღალატის ტოლფასი შეცდომების გარკვევა, მიუკერძოებელი პოზიციების აღნუსხვა ამ მიმართებით. ბოლოს და ბოლოს, სამხედრო თვალსაზრისით, მაინც ხომ უნდა ვიცოდეთ, რომ მომავალში ასეთ შედეგებზე არ ვიყოთ ორიენტირებულნი.

რატომ არ გამოხატავს სახელმწიფო თავის პოზიციას დალის ხეობის უცნაურად მიტოვების გამო?!

არა მგონია, ნებისმიერი ქართველი კაცი არ განიცდიდეს 1993 წლის სოხუმის დაცემას. მე ვკითხულობ, მართლა იდგა თუ არა 5-ათასიანი ქართული კონტინგენტი ოჩამჩირეში (ყურაშვილი) და ამ განსაცდელის ჟამს მათ არაფერი ქნეს სოხუმისა და სოხუმელების საშველად და ბრძოლაში ჩაუბმელად მიატოვეს ბრძოლის ველი, რის შემდეგაც მოხდა აფხაზეთის ოკუპაცია?

მოსკოვში 1997 წლიდან გამოდის (რუსულ ენაზე) ინფორმაციულ-ანალიტიკური საერთაშორისო სომხური გაზეთი **„ნოევ კოვჩეგ“**, რომელიც ვრცელდება მთელ მსოფლიოში. ამ გაზეთის 2008 წლის ოქტომბრის ნომერში (№10) გაეცნობით სომეხი გენერლის **ნორატ ტერ-გრიგორიანცის** ინტერვიუს, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ეხება საქართველოს შეიარაღებულ ძალებს და სიტყვასიტყვით აცხადებდა.

Скажу что Грузинская армия оказалась самой трусливой армией Мира. Никогда еще не одна армия не убегала так, чтобы оставить без помощи собственное население.

ამას ამბობდა იმ სომხების გენერალი, ვისი ქვეყანა და ხალხიც ქართველებმა და მისმა ჯარმა არაერთხელ იხსნა და გადაარჩინა, გაათავისუფლა მონობიდან.

რა უჭირს ამ საქმეებს, რა, არ გვყავს პროკურატურა თუ კვალიფიცირებული გამომძიებლების ნაკლებობას განვიცდით?!

თუ ასეა, მაშინ, დავიქირავოთ და მოვიწვიოთ საერთაშორისო სპეციალისტები და გადავუხადოთ საფასური პირუთვნელი გამოძიებისთვის.

ამ საქმეების გამოძიების შესახებ მოვთხოვოთ პასუხი არჩევნებში მონაწილე პარტიებს.

თუ ასე არ მოხდება, თუ არ იქნება გამჭვირვალე პროგრამა, ქვეყნის სათავეში მოსული ვერც ერთი პარტია ვერ იქნება თავისი ხალხის მიზნების დამცველი, ვერ იქნება „ქვეყნის გამრიგე“.

ველოდები კომპეტენტურ პასუხს.

ის მაინც გავიგოთ, ვინაა ამის წინააღმდეგი და ვის არ უნდა, რეალურად ასახოს საქართველოს თავსდატეხილი უბედურება.

გრიგოლ შონია,
დამოუკიდებელი საქართველოს დედაქალაქის მილიციის პირველი უფროსი
ტ. 599 97 46 44

„სამშობლო ან სიკვდილი!“

ასე იტყოდა ერნესტო ჩე გევარა

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

ბოლივია (ცუთი წლის შემდეგ)

კაპიტანმა პრადომ ჯარისკაცთ უბრძანა, რომ ხელ-ფეხი შეეკრათ ტყვეებისთვის. ჩემ დრო იპოვა და პრადოს გასძახა: **„კაპიტანო, ნუთუ მეტისმეტ სისასტიკედ არ გეჩვენებათ დაჭრილის შებორკვა?!“**

კაპიტანმა ბრძანა ტყვეთათვის ხელ-ფეხის გახსნა.

ამის შემდგომ ჩე და ვილი გადაჰყავთ უახლოეს მდებარე ლა-იგერაში, სადაც მთელი ღამე ჰყავთ სკოლის შენობაში და გაძლიერებულად იცავენ.

კაპიტანი პრადო რამდენჯერმე შევიდა კომანდანტესთან და ერთსა და იმავეს ეკითხებოდა: **„ძალიან მინდა გავიგო, რამ გადაგაწყვეტინა ეს უაზრო პროტესტი?“**

– თქვენი აზრით, უაზროა, არა?! – უპასუხებდა დაჭრილი კომანდანტე.

– გუშინდელ ბრძოლაში ოთხი ჯარისკაცი მომიკალით და ოთხიც დამიჭერით. რა ვუთხრა იმათ მშობლებს, როგორ ავუხსნა, რისთვის დაიღუპნენ?

– უთხარით, რომ სამშობლოსთვის გაწირეს თავი, თავიანთი ვალი მოიხადეს კაცურად!

– ეგ ლირიკაა, საღად მიპასუხე.

– თქვენი მენტალიტეტი ვერ მიხვდები ამას... – უპასუხებდა ჩე.

პოლკოვნიკმა სენტენომ, შტაბიდან დაშიფრული დეპეშა რომ მიიღო, ბრძანა, მოხალისენი ეპოვათ ჩესა და ვილის დასასჯელად. მსურველებად გამოჩნდნენ უმცროსი ოფიცერი მარიო ტერანი და სერჟანტი ბერნანდინო უანკა... ბრძანების მიხედვით ფრთხილად უნდა ესროლათ, ვითომ ბრძოლაში დაიღუპნენ.

მარიო ტერანმა 9 ტყვია ესროლა კომანდანტეს.

მეორე დღეს გევარას გვამი ქალაქ ვალიეგრანდეში წაიღეს პრესისთვის საჩვენებლად.

გმირი პარტიზანისა და რევოლუციონერის, კომუნისტ ჩეს მიმართ ისეთი შიში ჰქონდა ხელისუფლებას, რომ მალულად დამარხეს.

1997 წლის ივნისში არგენტინელმა და კუბელმა მეცნიერებმა მიაგნეს ლეგენდარული კომანდანტეს ნეშტს. 1997 წლის 16 ოქტომბერს ჩეს ნეშტი კუბაში გადაიტანეს და პატივით დაკრძალეს ქალაქ სანტა-კლარას მავზოლეუმში.

ერნესტო ჩე გევარას ცხოვრების საჭურადღებო ამბები

როგორც ცნობილია, ჩე გევარა არგენტინაში დაიბადა, ხოლო კუბით უკვე 11 წლისა დაგულისყურდა, როცა ბუენოს-აირესში ჩავიდა კასაბლანკა (კუბელი მოჭადრაკე), ერნესტო ჭადრაკმა გაიტაცა.

* * *

ჩე 4 წლიდან მიეჩვია წიგნის კითხვას, ოჯახში დიდი ბიბლიოთეკა ჰქონდათ, სადაც რამდენიმე ათასი წიგნი იყო.

* * *

ჩე გევარა, პოეზიის დიდი ტრფიალი, ხან თვითონაც თხზავდა ლექსებს.

* * *

ერნესტო ძლიერი იყო ზუსტ მეცნიერებებში (მათემატიკაში), მაგრამ პროფესიად მაინც ექიმობა აირჩია.

* * *

იგი გატაცებული იყო ფეხბურთით, რაგბით, ცხენოსნობით, პლანერიზმით, გოლფით, უყვარდა აგრეთვე ველოსიპედით სვლა.

* * *

გაზეთებში ჩე გევარას სახელი პირველად გამოჩნდა არა რევოლუციურ მოვლენებთან დაკავშირებით, არამედ მაშინ, როცა ის მოტოციკლეტით ტურნეს მონაწილე გახდა და ოთხი ათასი კილომეტრი გაიარა. ამის შემდეგ მან დაწერა წიგნი **„ველოსიპედისტის დღიურები“**.

* * *

40-იან წლებში ჩე გევარა ფულს ბიბლიოთეკარობით შოულობდა.

* * *

სამხრეთ ამერიკაში მეორე მოგზაურობისას ჩე გევარა ალბერტო გრენადოსთან ერთად (ბიოქიმიის დოქტორი) რესტორნებში რეცხავდა ჭურჭელს, მკურნალობდა გლეხებს, იყო ბეითალი, მტვირთავი, მებარგულე, აგრეთვე მეზღვაური.

* * *

ჩე ალბერტოსთან ერთად ბრაზილიაში რომ მოხვდა, ორივენი დააპატიმრეს საეჭვო გარეგნობის გამო. თუმცა პოლიციის ადგილობრივმა უფროსმა, საერთოდ ფეხბურთისა და, კერძოდ, არგენტინული ფეხბურთის გულშემატკივარმა, როგორც კი გაიგო, რომ დაპატიმრებულნი არგენტინელები იყვნენ, ეგრევე გაათავისუფლებინა ჩეც და ალბერტოც. სანაცვლოდ მან პირობა ჩამოართვა ერნესტოს, რომ მწვრთნელობას გაუწევდნენ ადგილობრივ ფეხბურთის ჯგუფს, რომელმაც დროთა განმავლობაში რაიონის ჩემპიონობა მოიპოვა. ამის მერე გუნდის გულშემატკივართ თვითმფრინავის ბილეთები აუღეს მწვრთნელებს კოლუმბიის დედაქალაქამდე (ბოგოტა).

* * *

1957 წლის 5 ივნისს ფიდელ კასტრომ 175 მებრძოლი გამოყო ჩე გევარას მეთავეობით. სწორედ მაშინ მიენიჭა ჩეს კომანდანტეს (მაიორის) წოდება. აქვე უნდა ითქვას, რომ კუბის რევოლუციის დროს (1956-1959 წ.) **„კომანდანტე“** ყოველის უფრო მაღალი წოდება იყო მეამბოხეთა შორის. ყველაზე ცნობილი კომანდანტეები იყვნენ: ფიდელ კასტრო, ჩე გევარა, კამილო სიენფუეგოსი.

* * *

როგორც მარქსისტი, ჩე გევარა კიცხავდა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებს (სსრ კავშირს და ჩინეთს) ღარიბი ქვეყნებისთვის საქონელბრუნვის პირობების თავს მოხვევის გამო, რა პირობებსაც იმპერიალიზმი უკარნახებდა მსოფლიო ბაზარს.

* * *

1950-იან წლებში ერნესტო ჩე გევარა თავის წერილებს ხუმრობით ხელს აწერდა როგორც **„სტალინი II“**.

* * *

ლეგენდარული ჩეს სიკვდილის შემდგომ ლათინურამერიკელთა უმრავლესობამ იგი წმინდანად შერაცხა და მიმართავდა როგორც San Ernesto de La Higuera.

* * *

სუყოველი ფულის რეფორმისას ჩე მუდამ გამოსახულია სამი კუბური პესოს ღირებულების კუპიურის წინაპირზე.

* * *

ერნესტო ჩე გევარას მთელ მსოფლიოში ცნობილი პორტრეტი (პირისახე) მიჩნეულია რევოლუციური მოძრაობის ნამდვილ რომანტიკულ სიმბოლოდ.

ეს პორტრეტი ფოტოგრაფიის მიხედვით შექმნა ირლანდიელმა მხატვარმა ჯიმ ფიცპატრიკმა 1960 წელს. ჩეს ბერეტზე ხოსე მარტის ვარსკვლავი, კომანდანტეს განმასხვავებელი ნიშანია. ვარსკვლავი მიიღო 1957 წლის ივნისში ფიდელ კასტროსგან წოდებასთან ერთად.

ადამიანებზე

მგზნებარე რევოლუციური მოღვაწეობის მიუხედავად, ხანისად სასტიკიც რომ ჩანდა, ჟან-პოლ სარტრის თქმით, ერნესტო ჩე გევარა იყო არა მარტო ინტელექტუალი, არამედ ჩვენი დროის ყოვლის უფრო სრულყოფილი ადამიანიც. კომანდანტე უწინარესად თავისი თავის მიმართ იყო მომთხოვნი და მერე გარემოცვის მიმართ.

* * *

რა გზითაც არ უნდა გადაწყვიტოს კაცობრიობამ სვლა, ყველაფერი ნაღდ ფულამდე, უხამსობამდე და კეთილმოწყობილ ყოფაცხოვრებამდე არ უნდა დაიყვანოს, ვინაიდან ადამიანური ღირსების დასაცავად საჭიროა და შეიძლება სიცოცხლის განწირვა.

* * *

იმისთვის, რათა ბევრს მიაღწიო, სუყოველივე უნდა დაკარგო, რაც კი გაქვს.

* * *

თხუთმეტი წლისას შეუძლია იმის გაგება, რისთვის აპირებს თავისი სიცოცხლის განწირვას და თავის დადება არ აშინებს, თუკი, რასაკვირველია, გულში იდეალი რამ უფეთქავს, რის გულისთვისაც ძალუძს თვითგანწირვა.

* * *

მშრომელები, ნებაყოფლობითი შრომის ავანგარდში რომ დგანან, ის ადამიანები არიან, ვინც სხვაზე უკეთესად ახორციელებს ცხოვრებაში ჭეშმარიტად კეთილი მერმისის იდეალებს.

* * *

...არ შეიძლება რომ სულ მუდამ მარტო ხალხის მიზნების თვალთახედვით იცქირებოდე, ცალკეულ პიროვნებებს კი ყურადღებას არ აქცევდე, ვინაიდან ჩვენ გამოვდივართ მხოლოდ როგორც რომ ინდივიდები. ყოვლის უფრო შეშფოთებული ვართ ჩვენი ინდივიდუალობის დაცვით და შეგვიძლია ამ კრიტერიუმის ათი ათასჯერ დაცვა, ეს მაშინ, როცა ლაპარაკია მთელი ქვეყნის მოთხოვნათა ანალიზსა და ანგარიშიანობაზე. დანაშაულია ფიქრი, თუ მარტო ინდივიდიდან გამოვდივართ, იმიტომ რომ ინდივიდის მოთხოვნები მკრთალდება და **„იფერფლება“** მთელი კაცობრივი საზოგადოების მოთხოვნათა წინაშე. მხედველობაში მაქვს ის საზოგადოება, რომელიც ამ ინდივიდის სუყოველი თანამემამულისგან შედგება.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №83-84

ერნესტო ჩე გევარას ცხოვრების საჭურადღებო ამბები

ნიკოლას გილუნი

ჩვენ ვიღიღინოთ, ჩემო გიტარავ!

ჩინმედლიანი პოლკოვნიკების
სტუმრობის მეტი არა გვინდა რა...
კარაქი იმათ, ნამცხვარი იმათ,
ჩვენ ვიღიღინოთ, ჩემო გიტარა!
მომრავლებულან მოხელეები,
არ დაგავიწყდეს ქრთამის მიტანა...
იმათ ორასი დოლარი თვეში,
ჩვენ ვიღიღინოთ, ჩემო გიტარა!

სესხს არ იშურებს ჩვენთვის იანკი,
მე შენ გეტყვი და – არა ზიდა რა...
იმათ სამშობლო გაგვიჩანაგონ,
ჩვენ ვიღიღინოთ, ჩემო გიტარა!

გადმოუგდია ენა დეპუტატს,
დაპირებამაც რა მოგვიტანა?
შაქარი მიაქვთ, სიმწარე მოაქვთ,
ჩვენ ვიღიღინოთ, ჩემო გიტარა!



სურათზე: (მარცხნიდან) ალიო მირცხულავა-მაშაშვილი, ნიკოლას გილუნი (კუბა), გურამ გოგიაშვილი და იოსებ ნონეშვილი. თბილისი, 1988. ვლ. გინზბურგის ფოტო.

**ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ 5 ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲜᲔᲒᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲗᲔᲝᲠᲘᲐ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲔᲚᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ. ᲗᲐᲕᲓᲐ�პᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲔᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲡ ᲛᲘᲐᲩᲜᲓᲐᲗ, ᲠᲝᲛ 5G ᲙᲘᲑᲝᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ COVID-19-ᲘᲡ ᲔᲞᲘᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲘᲡ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ SARS-COV-2-Ს (ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘ) ᲓᲐᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲡ. ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲥᲡᲔᲚ FACEBOOK-ᲨᲘ ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲐᲨᲨ-ᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲐᲤᲘᲥᲡᲘᲠᲓᲐ.

ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ 5G ᲛᲝᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲘ ᲙᲘᲑᲝᲡ?

ᲠᲐ ᲨᲣᲐᲨᲘᲐ 5G?

5G-ᲗᲐᲜ ᲝᲛᲘᲡ გამოცდილი ვეტერანები და ნეოფიტები ამტკიცებენ, რომ მასობრივი რესპირატორული დაავადების უკან არა ვირუსი, არამედ 5G სიხშირე დგას. შეთქმულების თეორეტიკოსების თქმით, სწორედ 5G სიხშირე აიძულებს ჟანგბადის მოლეკულებს, **„წამში 60 მილიარდი ჰერცის სიხშირით გადაადგილდნენ“, რის შედეგადაც მათ ადამიანის სისხლში ჰემოგლობინთან დაკავშირება არ შეუძლიათ. „ეს იგივეა, რომ ეცადო, ხელით დაიჭირო ის სამართებელი, რომელიც წამში 60 გიგაჰერცის სიჩქარით მოძრაობს“,** — Reddit-ის ერთ-ერთი მომხმარებელი.

ამავე თეორიის თანახმად, COVID-19-ით დაავადებული პაციენტი სინამდვილეში განიცდის ჰიპოქსიას (ორგანიზმში ჟანგბადის ნაკლებობა), რომელიც „5G რადიაციით“ არის გამოწვეული. ამის „დადასტურებად“ კონსპიროლოგები მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ ჩინეთის პროვინცია ჰუბეის ქალაქი უჰანი (სადაც ეპიდემია დაიწყო) იყო პირველი (სინამდვილეში კი ერთ-ერთი პირველთაგანი), სადაც ზუსტად 2019 წლის შემოდგომაზე 5G ქსელის გაშვება სცადეს. ზოგს იმისიც სჯერა, რომ „ახალი კორონავირუსი -5G“-ს ტანდემს წინამორბედებიც ჰყავდა. შეთქმულების თეორეტიკოსების მტკიცებით, 2003 წელს SARS-ის („ატიპური პნევმონია“) ეპიდემია 3G ქსელის გავრცელებასთან იყო დაკავშირებული, 2009 წელს „ღორის გრიპის“ აფეთქება კი 4G ქსელს უკავშირდება. უფრო მეტიც, კონსპიროლოგებმა 1918 წლის ესპანური გრიპის იმავე „ესპანკის“ ეპიდემიის მიზეზების ძიება დაიწყეს და ის რადიოს გავრცელებას დაუკავშირეს.

5G-სა და COVID-19-ის ურთიერთკავშირის შესახებ შეთქმულების სხვა თეორიებიც არსებობს. ზოგი კონსპიროლოგი ამტკიცებს, რომ 5G-ს იმუნური სისტემის დაზიანება შეუძლია, რაც ადამიანს ახალი კორონავირუსისადმი უფრო მოწყვლადს ხდის. სხვები კი ფიქრობენ, რომ 5G ტექნოლოგიების გამოყენებით როგორღაც შესაძლებელია COVID-19-ის მასობრივი გავრცელება.

5G-ისა და ახალი კორონავირუსის კავშირის შესახებ შეთქმულების თეორიამ ონლაინ-სივრცედან მალევე რეალურ სამყაროში გადაინაცვლა, რამაც ქსელის გავრცელებას გარკვეული ზიანი მიაყენა.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲨᲔᲔᲡᲐᲑᲐᲛᲔᲑᲐ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡ ᲔᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲔᲑᲘ?

2014 **ᲬᲔᲚᲡ** ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ განაცხადა, რომ მობილური ტელეფონის მოხმარებით ადამიანის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი დამტკიცებული არ არის. თუმცა ჯანმომ კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოსთან ერთად „შესაძლო კანცეროგენების“ კატეგორიაში შეიყვანა ყველა რადიოსიხშირული გამოსხივება. მათ შორის არის მობილური სიგნალი. მაგრამ საინტერესო ფაქტია ის, რომ ამ ჩამონათვალში დამარინადებული ბოსტნეული და ტალკიც შედის. ამავდროულად, ალკოჰოლი და გადამუშავებული ხორცი პოტენციურად უფრო საშიშ კატეგორიაში მოხვდა.

ზოგადად, მეცნიერები და რეგულატორები მიიჩნევენ, რომ 5G სიხშირე, წინა სტანდარტების მსგავსად, ადამიანებისთვის უსაფრთხოა. გარდა ამისა, ახალი კორონავირუსი გავრცელდა ბევრ ისეთ ქვეყანაში, სადაც 5G ქსელი ჯერ კიდევ არ არის. მათ შორის არის ირანი.

შეთქმულების თეორია იმის შესახებ, რომ 5G ახალი კორონავირუსის გავრცელებას ხელს უწყობს, სამეცნიერო საზოგადოებამ მკაცრად გააკრიტიკა. რიდინგის უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა (მოლეკულური ბიოლოგიის დარგში) საიმონ კლარკმა ამ მოსაზრებას „სრული სისულელე“ და ბიოლოგიურად შეუძლებელი რამ უწოდა. დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის ეროვნული სამსახურის სამედიცინო დირექტორმა სტივენ პოვისმა კი შეთქმულების თეორიები „გაყალბებული ახალი ამბების ყველაზე ცუდ ვერსიად“ შეაფასა.

5G-ისა და სხვა მობილური ტელეფონის ტექნოლოგიაში გამოყენებული რადიოტალღები ელექტრომაგნიტური სპექტრის დაბალ სიხშირეს განეკუთვნებიან. ისინი გაცილებით სუსტია, ვიდრე ხილული შუქი, ამიტომაც მათ უჯრედების დაზიანება არ შეუძლიათ იმ მაღალი სპექტრის გამოსხივებისგან განსხვავებით, რომელსაც მზის სხივები და სამედიცინო რენტგენი შეიცავს. 5G ტექნოლოგიით ვირუსის გავრცელებაც შეუძლებლად მიაჩნია ბრისტოლის უნივერსიტეტის პედიატრიის პროფესორს ადამ ფინს.

„ახლანდელი ეპიდემია გამოწვეულია ვირუსით, რომელიც ერთი ინფიცირებული ადამიანიდან მეორეს გადაეცემა. ჩვენ ვიცით, რომ ეს სიმართლეა. ჩვენ გვაქვს ჩვენს ლაბორატორიაში გამოზრდილი ვირუსიც, რომელიც ამა თუ იმ ავადმყოფობის მქონე პირისგან მივიღეთ. ვირუსები, ელექტრომაგნიტური ტალღები, რომლებიც მობილურ ტელეფონებს ქმნიან და ინტერნეტ-კავშირის ფუნქციონირება სხვადასხვა რამ არის. ისევე განსხვავებული, როგორც ცარცი და ყველი“, — აცხადებს პროფესორი ფინი.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲕᲠᲪᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲓᲔᲖᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲐᲡᲔ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ?

ᲖᲝ�გᲐᲓᲐᲓ, ეპიდემიის პირობებში **დეზინფორმაციის გავრცელება და შეთქმულების თეორიებისადმი მიდრეკილება განსაკუთრებით მძაფრდება. ამის მიზეზი არის ის, რომ ადამიანები ცდილობენ, თავი სანდო ინფორმაციის მქონე წყაროდ წარმოაჩინონ და გარკვეული ინტერპრეტაციები აკეთონ. ზოგისთვის ეს „ჰობი“ სულაც არ არის, ამით ამ ადამიანების კატეგორია ფულს გამოიმუშავებს.**

მეცნიერებისა და ფსიქოლოგების განმარტებით, ადამიანი, რომელსაც ერთი შეთქმულების თეორიის სჯერა, მეორესაც ადვილად ირწმუნებს. ეს ასე მოხდება მაშინაც კი, თუ პირველ შემთხვევაში კონსპირაცია არ დადასტურდა. სპეციალისტები ამბობენ, რომ რეცესიის დროს, რაც პანდემიის შემდეგ გარდაუვალია, ასევე გაურკვევლობისა და მძიმე სოციალურ ფონზე, შეთქმულების თეორიების რაოდენობა და გავრცელება მხოლოდ და მხოლოდ გაიზრდება. ეს გავლენა საგრძნობი გახდება არა მხოლოდ სკეპტიკოსების შემთხვევაში, არამედ ზოგადად პოლიტიკურ დღის წესრიგზე იმოქმედებს.

ᲑᲠᲘᲚᲘᲐᲜᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲪᲐᲕᲘ ᲜᲘᲦᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲞᲐᲜᲓᲔᲛᲘᲘᲡ ფონზე ინდოეთის ქალაქ სურატში საიუველირო მაღაზიამ ბრილიანტებით მორთული დამცავი ნიღბების გაყიდვა დაიწყო.

როგორც მაღაზიის მფლობელმა დიპაკ ჩოკსიმ განაცხადა, ნიღბების შექმნის იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც კარანტინის მოხსნის შემდეგ მაღაზიაში მივიდა კაცი, რომელიც ქორწილისთვის ემზადებოდა. მას ამ დღის აღსანიშნავად თავისთვის და საცოლისთვის ძვირფასი ქვების გამოყენებით „უნიკალური“ პირბადეების დამზადება უნდოდა. შეკვეთის შესრულების შემდეგ მაღაზიაში ასეთი ნიღბების ფართო ხაზის წარმოება გადაწყვიტეს. ამისთვის ყვითელ, ან თეთრ ოქროს და ბრილიანტებს იყენებენ. ნიღბების ფასი 2 ათასიდან 5 ათას აშშ დოლარამდე მერყეობს. ამასთან, მწარმოებელი ირწმუნება, რომ ნიღბები უსაფრთხოების ყველა ნორმას ესადაგება, სურვილის შემთხვევაში კი მფლობელს ნიღბიდან ძვირფასეულობის მოხსნა და მისგან სამკაული გაკეთება შეუძლია.



ᲙᲣᲠᲘᲔᲠᲘ... ᲚᲐᲑᲠᲐᲓᲝᲠᲘ

ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲐᲨᲘ 8 ᲬᲚᲘᲡ ᲚᲐᲑᲠᲐᲓᲝᲠᲘ ᲔᲠᲝᲡᲘ ᲙᲣᲠᲘᲔᲠᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲙᲚᲘᲔᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲘ ᲛᲘᲐᲥᲕᲡ.

ᲫᲐᲦᲚᲡ ᲙᲐᲚᲐᲗᲘ ᲙᲑᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲣᲭᲘᲠᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲛᲔᲓᲔᲚᲘᲜᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲜᲘ-ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲘᲚᲘ, ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲘᲐᲥᲕᲡ. ᲔᲠᲝᲡᲘᲡ ᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ ᲞᲐᲜᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲮᲓᲐ

„ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲡᲢᲐᲜᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲨᲘ ᲒᲕᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ. ᲗᲐᲜᲐᲪ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲫᲐᲦᲚᲡ ᲕᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ“, — ამბობს მაღაზიის და ეროსის პატრონი მარია ნატივიდად ბოტერო. მისივე თქმით, ეროსი სახლში მისმა ვაჟმა მიიყვანა, 4 წლის წინ კი, როცა ოჯახმა მინი-მარკეტი გახსნა, ის თან დაჰყვებოდა ბოტეროს და მის შვილებს, როცა მათ მომხმარებლებთან შეკვეთები მიჰქონდათ. რა თქმა უნდა, ეროსი მისამართებს ვერ ცნობს, მაგრამ იმახსოვრებს იმ კლიენტების სახელებს, რომლებიც სასუსნავით უმასპინძლდებიან. ოჯახმა გარკვეული დრო ძაღლის გაწვრთნაზე დახარჯა, რის შედეგადაც ეროსმა შეკვეთების მიტანა დამოუკიდებლად დაიწყო.

ᲪᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲘᲒᲣᲠᲔᲑᲡ ᲞᲘᲠᲑᲐᲓᲔᲔᲑᲘ ᲒᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡ

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ქალაქ სტამბოლში თითქმის ოთხთვიანი პაუზის შემდეგ „მადამ ტიუსოს მუზეუმი“ გაიხსნა, ცვილის ფიგურებს კი პირბადეები გაუკეთეს.

გარდა ამისა, ცვილის ფიგურები სოციალური დისტანცირების წესების დაცვით არიან განლაგებულები. სტამბოლში მადამ ტიუსოს მუზეუმი 17 მარტს დაიხურა.

ვეტერანი მოფარიკავეები – სიმართლისათვის

გვსურს, მივმართოთ ქართული ფარიკაობის დიდ ოჯახს და განვიხილოთ საქართველოს ფარიკაობის ფედერაციაში დღეს არსებული მდგომარეობა:

ა. წ. 18 მაისს საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტის მ. ბაზაძის მიერ გამგეობის წევრებს ელექტრონული ფოსტით დაეგზავნათ წერილი გამგეობის სხდომის ჩატარებასთან დაკავშირებით (პანდემიით გამოწვეული კარანტინის გათვალისწინებით).

დღის წესრიგში მე-4 საკითხად შეტანილი იყო „საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის მფლობელობაში (უზუფრუქტის უფლება) არსებული დარბაზის იჯარით გაცემა“. საკითხი ეხება შპს „მერაბ ბაზაძის სახელობის ჩემპიონთა აკადემიაზე“ ფარიკაობის დარბაზის იჯარით გადაცემას, რომლის 100%-ანი წილის მფლობელია საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალური მდივნის ნინო ჯერენაშვილის დედა ვენერა მამუკაშვილი (პ/ნ: 01013007134). შპს „მერაბ ბაზაძის სახელობის ჩემპიონთა აკადემიამ“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია გაიარა 2020 წლის 4 თებერვალს. აღნიშნულ ორგანიზაციას არ გააჩნია არანაირი ვალდებულება, სამუშაო გამოცდილება და ფინასური უზრუნველყოფა.

საკითხში ასევე აღნიშნულია, რომ „მ. ბაზაძემ საკუთარი ხარჯით დაიწყო დარბაზის გარემონტება და მისთვის სასიხარულოა ის ფაქტი, რომ შპს „მერაბ ბაზაძის სახელობის ჩემპიონთა აკადემიამ“ ითხოვა, იჯარის ხელშეკრულებით მათთვის გადაეცათ ქონების მართვის სააგენტოს მიერ 2013 წლიდან უზურფრუქტის ხელშეკრულებით ფარიკაობის ფედერაციის მფლობელობაში არსებული დარბაზი“.

ეს ყოველივე არის ინტერესთა კონფლიქტი, რაც ქართული ფარიკაობისთვის ყოვლად მიუღებელია.

დღის წესრიგის თანახმად, პირველ საკითხში — „ანგარიში“, განსახილველად იდგა საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის 2020 წლის ბიუჯეტი, საიდანაც გახარჯული იყო 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გამგეობის წევრების ნაწილმა წერილობით მოითხოვა დეტალური ინფორმაცია შემდეგზე:

— 2019 წლის განმავლობაში მიღებული ყველა შემოსავალი;

— 2019 წლის განმავლობაში ფედერაციის მიერ გაწეული ყველა ხარჯი;

— 2020 წლის ბიუჯეტი (მოსალოდნელი შემოსავლები და ხარჯები) დეტალურად;

— 2020 წელს გაწეული ხარჯები დეტალურად მიმღები პირის მიერ დახარჯული თანხის რაოდენობის და ამ თანხის მიზნობრიობის მითითებით.

ამ მოთხოვნებს ჰქონდა მხოლოდ ერთი მიზანი: პანდემიის გათვალისწინებით, გამგეობის წევრებს უფრო ეფექტურად განეხილათ ძირეული საკითხები. ბუნებრივია, სხდომაზე შეუძლებელი იქნებოდა გამგეობის 19 წევრის ერთობლივი შეხვედრა და ნაყოფიერი მუშაობა.

გამგეობის წევრებს გაურკვეველი მიზეზების გამო, ჯერჯერობით კონკრეტული მასალები არ მიუღიათ და გამგეობის ჩანიშნული სხდომა გადაიდო.

აღსანიშნავია, რომ მ. ბაზაძე ასევე აყენებს საკითხს 2020 წლის 19 ივლისისათვის ჩანიშნულ გამგეობის სხდომაზე შპს „მ. ბაზაძის ჩემპიონთა აკადემიის“ საქართველოს ფარიკაობის ფედერაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის მფლობელობაში არსებულ ოლიმპიური ჩემპიონის ნუგზარ ასათიანის სახელობის ფარიკაობის დარბაზს, გვინდა, კიდევ ერთხელ განვმარტოთ, რომ აღნიშნული დარბაზი აშენდა და გარემონტდა ვეტერანი მოფარიკავეების იური ოსიპოვის, არჩილ გოგელიას, ზურაბ ცქიტიშვილის, მორის სახვაძის, გურამ ჯაიანის, გივი ცაგარელის და ლუდვიგ ღაღანიძის თანადგომით (შპ ს. „მუშკეტერები“), რომელიც გაიხსნა 2012 წლის 18 მარტს. გახსნის საზეიმო ცერემონიაზე მოწვეულ სტუმართა შორის გახლდნენ ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები საქართველოდან და უცხოეთიდან. დარბაზის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო 2006 წელს და გრძელდებოდა 2012 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში ქართველი მოფარიკავეები ვარჯიშობდნენ ილ. ჭავჭავაძის 49/ა-ში მდებარე, „საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის“ მიერ შპს „სპორტმშენსერვისისგან“ იჯარით აღებულ ფარიკაობის დარბაზში, რომლის სარემონტო სამუშაოები და იჯარა მთლიანად დაფარული იყო შპს „მუშკეტერების“ დაფინანსებით.

2013 წელს ვეტერანი მოფარიკავეების მიერ ნაჩუქარი ახალი, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ფარიკაობის დარბაზი ჯერ სიმბოლურ ფასად (1 ლარად) გადაეცა ქონების მართვის სააგენტოს, ხოლო შემდეგ მათ მიერ უზურფრუქტის სახით გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს ფარიკაობის ფედერაციას. პირდაპირ ჩუქების შემთხვევაში საქართველოს ფარიკაობის ფედერაციას მოუწევდა სოლიდური თანხების გადახდა.

აღნიშნულ დარბაზში აღიზარდა უამრავი ტიტულოვანი მოფარიკავე, მათ შორის: თანამედროვე ქართული ფარიკაობის ერთ-ერთი უბრწყინვალესი წარმომადგენელი, რიო-დე- ჟანეიროს 2016 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილე, ევროპის სამგზის ჩემპიონი ახალგაზრდებსა და იუნიორთა შორის, ევროპის სენიორთა ჩემპიონატების (2017-2019 წ.წ) სამგზის ბრინჯაოს მედლის მფლობელი, მსოფლიოს თასების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი სანდრო ბაზაძე, რომელმაც მომდევნო ოლიმპიური თამაშების (ტოკიო-2020) ლიცენზიაც დაიბევა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები თეოდორა კახიანი, მიხეილ მარდალეიშვილი, ბექა ბაზაძე, ნიკა შენგელია, საბა სულამანიძე, ვაჟა რეჭია, ლუკა ობოლაძე, ლუკა ღაღანიძე, ლიკა ჯიჯიეიშვილი და სხვები.

აღსანიშნავია ის სინამდვილეც, რომ ქართველი პარასპორტსმენი მოფარიკავეების შერჩევა და დაოსტატება დაიწყო ოლიმპიური ჩემპიონის ნუგზარ ასათიანის სახელობის ფარიკაობის დარბაზში, საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის მაშინდელი ხელმძღვანელობის ინიციატივითა და ხელშეწყობით.

2017 წელს ვეტერანი მოფარიკავეების თხოვნის საფუძველზე, ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის დახმარების ფონდიდან გამოყოფილი თანხებით დაფინანსდა ფარიკაობის დარბაზის გეგმიური სარემონტო სამუშაოები, რის შემდგომაც არავითარი საზეიმო გახსნის ცერემონიები არ ჩატარებულა, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოლიმპიური ჩემპიონის ნუგზარ ასათიანის სახელობის ფარიკაობის დარბაზი საზეიმოდ გაიხსნა 2012 წლის 18 მარტს.

არ გვაქვს უფლება, არ შევეხოთ საქართველოს ფარიკაობის დიდ ისტორიას, რომელშიც ოქროს ასოებითაა ჩაწერილი იმ მოფარიკავეთა შედეგები, რომლებმაც სახელი და დიდება მოუტანეს მთლიანად საქართველოს მსოფლიო ასპარეზზე, ესენი არიან: აკაკი მეიფარიანი — პირველი მოფარიკავე ქართველი ოლიმპიელი, იური ოსიპოვი, რევაზ ცირეკიძე, ნუგზარ ასათიანი, გურამ კოსტავა, ვლადიმერ აფციაური, ძმები გიორგი, კონსტანტინე და არჩილ გოგელიები, ზურაბ ცქიტიშვილი, მორის სახვაძე, გურამ ჯაიანი, გივი ცაგარელი, ნიკოლოზ ანდრიაძე, ოთარ კიკალიშვილი, თედო ზაუტაშვილი, იზოლდა ესაიაშვილი, ჯულიეტა გიორგაძე, რუსუდან კეკელია, დოდო ლორთქიფანიძე, სვეტლანა სვანიძე, მაყვალა კოხრეიძე, დალი ბუხრაშვილი, მამა-შვილი გურამ და არჩილ ლორთქიფანიძეები, ამირან ბობოხიძე, შოთა სულამანიძე, ნოდარ ჩიტიაშვილი, დიმიტრი შარაშენიძე, ავთანდილ კიკნაძე, მალხაზ ადეიშვილი, იასე სიხარულიძე, ლელა ბერაძე, დავით ლოსაბერიძე, გია ჩიხლაძე, თამაზ ესართია, მალხაზ გუგუშვილი, გია მეშველიანი, გიორგი პაიჭაძე, თემურ ბოჭორიშვილი, ზურაბ გაგნიძე, გია აბაშიძე, ზურაბ აფციაური, გიორგი გელაშვილი, ვლადიმერ გოქაძე, ზურაბ ჯაგაშვილი, ირაკლი დავითაშვილი, დავით თურქია, კახა გვარამაძე, აკაკი და კახა მახარაძეები, მერაბ ბაზაძე, ზაზა მჭედლიძე, გიორგი ჯილაური, ჯემალ გამიაშვილი, ძმები შალვა და გიორგი კოკოჩაშვილები, ოლეგ ჩერნიშოვი, ქეთევან გაჩეჩილაძე, ძმები ნიკოლოზ და ზურაბ ბახსოლიანები, კახა მაღრაძე და მრავალი სხვა, რომელთა აღზრდა ითავეს საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელებმა: ლევ გოლოვნიამ, ანატოლი ფიოდოროვმა, ოთარ დიდებულიძემ, სიმონ საყვარელიძემ, გალაქტიონ ჩიქოვანმა, თემურ ისლამოვმა, შოთა დარასელიამ, ლადო ქოჩიაშვილმა, სიმონ მამულაშვილმა, ტრიფონ მესხმა, გიორგი დავითიანმა, თამარა ტროფიმოვამ, ჯულიეტა გიორგაძემ, ნადეჟდა დანილოვამ, როზა ჯოლოგუამ, მირიან კიკალიშვილმა, თამაზ ოყროშიძემ, სულიკო ბოგვერაძემ, თედო კეზევაძემ, ჯუმბერ კვანტალიანმა, მალხაზ გაბუნიამ, ბახუს მათითაიშვილმა, ზურაბ თავაძემ, თემურ ფხალაძემ, მალხაზ მჭედლიძემ, თენგიზ მორჩილაძემ, თამაზ ძაგანეიშვილმა, ლუდვიგ ღაღანიძემ, გოდერძი მახარაძემ, ნოდარ დიდიამ, სვეტლანა სვანიძემ, ლიანა შეყილაძემ, ამირან ჭანტურიძემ, ტარიელ გოშაძემ, იგორ ვახროვმა, თამაზ კაკულიამ, კარლო ქუთათელაძემ, ელგუჯა ერემეიშვილმა, ვახტანგ ჭოლაძემ, მერაბ ბაზაძემ და მრავალმა სხვამ (თუ ვინმე გამოგვრჩა, მოგვიტევეთ). ასევე, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯების სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებმა: მორის სახვაძემ (1996—2008 წლებში ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომისიის წევრი), იური ოსიპოვმა, ნუგზარ ასათიანმა, დავით სახვაძემ (2012-2016 წ.წ. — ევროპის ფარიკაობის კონფედერაციის მსაჯთა კომისის წევრი, 2016- 2018 წ.წ. — ევროპის ფარიკაობის კონფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და მსაჯთა კომისიის პრეზიდენტი), თამაზ კაკულიამ, თათია აფციაურმა, ირინე ფეიქრიშვილმა, ხათუნა ჭუმბურიძემ, კახა მახარაძემ და ზაზა მჭედლიძემ (საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტი 2016-2018 წლებში).

1992-2016 წლებში საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტი გახლდათ ცნობილი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე არჩილ გოგელია, რომლის მოღვაწეობის პერიოდშიც საქართველოში არსებული მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, ფარიკაობა შენარჩუნდა და განვითარდა. უახლოესი პერიოდის სპორტული მიღწევები მისი ხელმძღვანელობით გაწეული ერთობლივი შრომის შედეგია.

ქართულ ფარიკაობას, რა თქმა უნდა, ჰქონია მძიმე პერიოდიც, რომლის დროსაც გადაწყვეტილებები მიიღებოდა საერთოდ ფარიკაობის და არა ერთი რომელიმე კონკრეტული პიროვნების სასარგებლოდ. კერძოდ, 2018 წელს რთულ ვითარებაში აღმოჩნდა საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის ხელმძღვანელობა (პრეზიდენტი, გენერალური მდივანი და ვიცე-პრეზიდენტი — მთავარი მწვრთნელი). ხმლის გუნდის ოლიმპიურ თამაშებზე, პირველად ისტორიაში მონაწილეობა დადგა საფრთხის წინაშე. რა დროსაც ფედერაციის მაშინდელმა პრეზიდენტმა და გენერალურმა მდივანმა მიიღეს მძიმე გადაწყვეტილება გადადგომასთან დაკავშირებით ქართული ფარიკაობის პრესტიჟის დაცვის სასიკეთოდ.

ფარიკაობის მთავარი მიზანი ერთიანობაა. ადრინდელი და დღევანდელი შედეგები მიღწეულია მოფარიკავეთა მთავარი დევიზით: „ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის!“. ყოველი სპორტული მიღწევა არა ერთი რომელიმე კონკრეტული მოფარიკავის, არამედ საერთო ქართული საფარიკაო ოჯახის ერთობლივი შრომის შედეგად მოპოვებული გამარჯვებაა!

დღევანდელი და მომავალი თაობების პატრიოტული მოვალეობა-ვალდებულებაა ტრადიციების შენარჩუნება და გაღრმავება.

ვეტერანი მოფარიკავეები

◎ ლეგიონერი

ვაკო გვილია პოლონეთის ჩემპიონია!

ვაკო გვილიამ პოლონეთის ჩემპიონატის 35-ე ტურის შეხვედრაში თავისი მორიგი გოლი გაიტანა, მისი გუნდი ვარშავის „ლეგია“ კი ქვეყნის ჩემპიონი გახდა.

ვარშაველებმა საკუთარ მოედანზე „კრაკოვიას“ უმასპინძლეს და 2:0 დაამარცხეს. გვილიამ შეხვედრა „ლეგიას“ ძირითად შემადგენლობაში დაიწყო და მნიშვნელოვანი

მატჩის მიწურულს შეცვალეს.

ანგარიში 23-ე წუთზე ვარშაველთა ჩეხმა თავდამსხმელმა ტომაშ პეჰარტმა გახსნა, შეტევა კი საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა წამოიწყო. გვილიას 45-ე წუთზე გატანა შეეძლო, მაგრამ ახლოდან მის დარტყმულ ბურთს მცველი გადაეღობა და სტუმრები აშკარა გოლისგან იხსნა.

26 წლის ქართველმა ნახევარმცველმა მიზანს მაინც მიაღწია – 75-ე წუთზე კრაკოველთა კარი ზუსტი დარტყმით აიღო და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 2:0 „ლეგიას“ სასარგებლოდ.

ვარშაველებმა 35 ტურის შემდეგ 68 ქულა დააგროვეს, მეტოქეებისთვის მიულწეველები გახდნენ და პოლონეთის ჩემპიონობა ისტორიაში მეცამეტედ იზეიმეს.

ვაკო გვილიამ მიმდინარე სეზონში ვარშავის „ლეგიის“ მაისურით 47 შეხვედრა ჩაატარა და 11 გოლი გაიტანა – 8 – პოლონეთის ჩემპიონატში, 2 – პოლონეთის თასზე, ერთიც – ევროპის ლიგაზე.

გიორგი შოთაძე

◎ რაგბი

შესაძლოა, 31 ოქტომბერს

რაგბი ევროპის ჩემპიონატის გადადებული მატჩები, შესაძლოა, 31 ოქტომბერს ჩატარდეს. აღნიშნულ ინფორმაციას რუსეთის რაგბის ფედერაციის დირექტორი სერგეი მარკოვი ავრცელებს, თუმცა გადაწყვეტილება ჯერჯერობით ოფიციალურად არ დადასტურებულა.

შეგახსენებთ, რომ 14 მარტს რაგბი ევროპის ჩემპიონატის ბოლო ტურის შეხვედრა საქართველოსა და რუსეთს შორის უნდა გამართულიყო, მაგრამ კორონავირუსის პანდემიის გამო გაურკვეველი ვადით გადაიდო.

საქართველოს ნაკრებმა რაგბი ევროპაზე 4 შეხვედრა ჩაატარა და 19 ქულით ლიდერია. ლევან მაისაშვილის გუნდი პორტუგალიასა და ესპანეთს 10-10 ქულით უსწრებს. რაც შეეხება რუსეთს, მას 2 მოგების საპირისპიროდ 2 მარცხი აქვს და მე-4 ადგილზეა.

კობა კობახიძე

◎ პირველ პირში

ყველას ვერ ავუხსნი

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა ტომაშ პეჰარტმა ინტერვიუ მისცა ჩეხურ „ეროვნული სპორტი“-ს, სადაც ბევრ საინტერესო საკითხზე ისაუბრა. ჩვენ ამ ინტერვიუს ძირითადი ნაწილი ქართულად ვთარგმნეთ.

ნავს ჩემთვის საქართველოს ნაკრების თამაშის ტელევიზორით ყურება და რა საშინელი შეგრძნებაა, როცა შენი კარიერის პიკში ყოფნის დროს შენ ნაკრებს და ქვეყანას ვერ ეხმარები იმიტომ, რომ ეს მესამე და მეოთხე მხარემ გადაწყვიტა.

ვერც იმას ავუხსნი, რამხელა სიხარული და ბედნიერება განვიცადე სულ რამდენიმე დღის წინათ, როცა ესპანეთის ჩემპიონი გავხდი და მომეცა შესაძლებლობა, ქართული დროშა ამეფრიალებინა!

ვერც იმას მიხვდება, რომ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში გადასვლით მეტი მოგების შესაძლებლობები მომეცემა, რაც მეტი ჩვენი დროშის ფრიალს ნიშნავს.

ვერც იმას გაიგებს, თუ რამხელა ბედნიერებაა, როდესაც ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი პატივს სცემს ჩემს პატრიოტიზმს და შესაძლებლობას მაძლევს, ნაკრების ყველა თამაშზე ჩამოვიდე ისევ და ისევ ჩვენი ქვეყნის წინ წასაწევად გამარჯვებისაკენ.

და ვერც იმას ამიხსნით, თუ რამხელა ტკივილია, როდესაც ჩვენი ქვეყანა ჩვენს გმირებს კარგავს იმიტომ, რომ მე ამის ახსნა არ მჭირდება, ეს მე კარგად ვიცი და ისიც ვიცი, რომ თქვენც კარგად იცით, რომ მე ეს ვიცი.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე, თორნიკე შენგელია, ვიყავი, ვარ და ვიქნები ქართული სულის მატარებელი ყველგან, სანამ სული მიდგას და ამას ვერ შეცვლის ვერც ერთი გაკეთებული კომენტარი თუ განცხადება!

ყველაზე მშვიდად გავივლი ამ განსაცდელს, იმიტომ, რომ ჩემ გვერდით ღმერთი დგას. მხოლოდ მის წინაშე ვარ პასუხისმგებელი და მან კი ნამდვილად იცის, თუ ვინ ვარ მე“, – წერს თორნიკე ფეისბუქში.

შეგახსენებთ, რომ თორნიკე შენგელიამ მოსკოვის ცსკა-სთან რამდენიმე დღის წინათ 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, რასაც დიდი და არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

ჯერჯერობით გაურკვევლობაა

ჩოგბურთში აშშ-ის ღია ჩემპიონატი 31 აგვისტოს უნდა დაიწყოს, თუმცა, ამერიკაში კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობის ზრდა და სხვადასხვა ტიპის რეგულაციები ტურნირის ჩატარებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ბოლო დღეებში აშშ-ში ინფიცირებულთა რაოდენობა საგრძნობლად მატულობს და რეკორდული მაჩვენებელი 10 ივლისს დაფიქსირდა – 64.630.

მიუხედავად იმისა, რომ ინფიცირებულთა რაოდენობა აპრილის შემდეგ ნიუ-იორკში კლებულობს, ერთ-ერთი პრობლემა კარანტინს ეხება – ამერიკაში ჩასულებმა და ასევე, ევროპაში გამგზავრებულებმა რამდენიმედღიანი კარანტინი უნდა გაიარონ. შესაბამისად, აშშ-ში ტურნირი 13 სექტემბერს სრულდება, ხოლო საფრანგეთის ღია ჩემპიონატი 20 სექტემბერს იწყება და როგორ უნდა მოახერხონ ჩოგბურთელებმა ყველა წესის დაცვაც და ორივე ტურნირზე მონაწილეობის მიღებაც, ამაზე პასუხი არ არსებობს.

მსოფლიოს ნომერ მეექვსე ჩოგბურთლმა სტეფანოს ციციპასმა განაცხადა, რომ ჯერ გარკვეული არა აქვს, გაემგზავრება თუ არა აშშ-ში.

„შანსები 50-50-ზეა. წავიდოდი და ვითამაშებდი, მაგრამ თუ სიტუაცია გაუარესდება და ჩვენს ჯანმრთელობას საფრთხე დაემუქრება, მაშინ აშშ-ის ღია ჩემპიონატი უნდა გაუქმდეს“. - განუცხადა BBC-ს ბერძენმა.

აშშ-ის ღია ჩემპიონატი, რომელიც გულშემატკივრების გარეშე უნდა ჩატარდეს, 31 აგვისტოს უნდა დაიწყოს, თუმცა, თუ სიტუაცია გამწვავდება,



მაშინ გაუქმებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ორგანიზატორებმა ერთი თვით ადრე უნდა მიიღონ. ნიუ-იორკის გუბერნატორმა გასულ თვეში დაიცვა ტურნირი და მხარი დაუჭირა ჩატარებას, თუმცა რამდენიმე დღის წინათ მოგზაურებისთვის 19 შტატიდან 14-დღიანი კარანტინი დააწესა. აღნიშნულ შტატებს შორისაა ფლორიდა, სადაც ბევრი პროფესიონალი ჩოგბურთელი ცხოვრობს და ერთადერთი გამოსავალი, თუ სიტუაცია არ გამოსწორდება, გამონაკლისის დაშვება იქნება.

ასევე, უცნობია, თუ როგორ მოექცევიან ესპანეთის, იტალიისა და საფრანგეთის მთავრობები გრუნტის სეზონისთვის ჩასულ ჩოგბურთელებს. ევროკავშირის საბჭო რეკომენდაციას გასცემს, აშშ-სთან საზღვარი არ გაიხსნას. აღნიშნული რეკომენდაცია ორ კვირაში ერთხელ უნდა გადაიხედოს ხოლმე და შესაძლოა, შეიცვალოს სიტუაცია და თვითიზოლაციის წესიც შემოიღონ.

ჯეიმი მარეი, რომელმაც US Open-ი ბოლო სამი წლის განმავლობაში შერეულ წყვილთა თანრიგში მოიგო, ამბობს, რომ ევროპაში დარჩენა უსაფრთხოების მიზნით კარგი ვარიანტია.

„ვერ წარმომიდგენია, თუ როგორ უნდა დაუჭიროს მხარი ATP-მა აშშ-ის ღია ჩემპიონატის ჩატარებას იმ შემთხვევაში, თუ ევროპაში დაბრუნებულებს კარანტინის გავლა მოუწევთ და ამავდროულად ორ მასტერსსა და დიდი სლემის ტურნირზე უნდა იასპარეზონ. ჩემი აზრით, როგორც მოთამაშეს, სტაბილურობა უნდა გინდოდეს და ამჟამად ეს ჩვენ არ გვაქვს.“ – განუცხადა BBC Sport-ს მარეიმ.

აშშ-ის ღია ჩემპიონატის ჩატარებას მხარი დაუჭირეს ჯონ იზნერმა და სერენა უილიამსმა, რომელიც უკვე აქტიურად ემზადება ტურნირისთვის, თუმცა, ბევრმა გააკრიტიკა გადაწყვეტილება და მათ შორის იყო ნიკ კიგრიოსი. ავსტრალიელმა ასევე უარყოფითად შეაფასა ნოვაკ ჯოკოვიჩის ორგანიზებული ადრია ტური.

სერბ ჩოგბურთელს, რომელიც მსოფლიოს პირველი ნომერია და ზემოხსენებული ტურის გამო საზოგადოებამ გააკრიტიკა, ჯერ არ გადაუწყვეტია აშშ-ში გამგზავრება და Sportski Zurnal-თან საუბრისას აღნიშნა, რომ დარწმუნებული არაა, მიიღებს თუ არა მონაწილეობას. რაფაელ ნადალმა გადაწყვიტა, ევროპაში ითამაშოს და, სავარაუდოდ, ორივე ჩოგბურთელს სურს აშშ-ში წასვლის ნაცვლად, ევროპაში რომის, მადრიდის მასტერსებსა და საფრანგეთის ღია ჩემპიონატში მიიღონ მონაწილეობა. ამას ისიც ემატება, რომ ამ ორი ჩოგბურთელის გარდა, ტურნირს დააკლდება როჯერ ფედერერი.

აშშ-ის ღია ჩემპიონატის ჩატარების საკითხი ოფიციალურად კი გარკვეულია, თუმცა, მოვლენები ისე იცვლება, გამორიცხული არაა, უიმბლდონის მსგავსად გაუქმდეს. თვის ბოლომდე ოცი დღეა დარჩენილი და, სავარაუდოდ, ამ პერიოდში გადაწყდება, ჩატარდება თუ არა დიდი სლემის ერთ-ერთი გრანდიოზული ტურნირი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ბეჟან დოლიძე

◎ ინტერნეტიდან

ვერონიკას არჩევანი

22 წლის რუსი მძლეოსანი ვერონიკა ჩერვინსკაია სპორტული საზოგადოების ყურადღების ქვეშ 2019 წლის გაზაფხულზე მოექცა, როდესაც იქაურ ჩემპიონატში 100 მეტრზე სირბილში ვერცხლის მედალი მოიპოვა და მასზე მსწრაფლივ გაკეთდა განცხადებები, როგორც მომავლის დიდ ჩემპიონზე.

ამის შემდეგ ამ გოგონას ორიგინალური ნატურით ჯერ რუსეთის, შემდეგ კი ევროპის რამდენიმე ბულვარული გამოცემა დაინტერესდა და ვერონიკასგან არც თამამ ფოტოებზე თქმულა უარი. მართალია, მას მოდელის ნატურა არა აქვს, მაგრამ ეს თანამედროვე „ყვითელ“ პრესას დიდ დაბრკოლებად არ მიაჩნია.

თუმცა, რაკი დიდმა სპორტულმა მიღწევებმა (მით უმეტეს მასზე გაცემული ავანსების შემდეგ) დაიგვიანა, ვერონიკა ჩერვინსკაიამ ეს ყველაფერი მის სამოდელო ამბებს დააბრალა და ახლახანს განაცხადა, რომ მთელ დროსა და რესურსებს მხოლოდ სპორტს დაუთმობს. არის თუ არა ეს წარმატებების გასაღები – სულ მალე ნაჩვენები სპორტული შედეგებით გავიგებთ.

მანუჩარ გიორგაძე

ხეები ზეზეურად კვდებიან...

დედაქალაქში დაავადებული და ხმობადი ფიჭვების სანიტარიული ჭრის პროცესი გრძელდება

დაავადების გავრცელების პრევენციის მიზნით, თამარაშვილის ქუჩაზე, მე-11 კორპუსის მიმდებარედ არსებულ გამწვანებულ ზოლსა და ფერდობზე 35-მდე დაავადებულ და ხმობად ფიჭვს ჭრიან.

თითოეული მოჭრილი ხე ახალი ნერგით ჩანაცვლდება. გამწვანებულ თარგებში 50-მდე ხე და 50-მდე ბუჩქი დაირგვება.

სჯობს გვიან...

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა განიხილა საქართველოს კანონის პროექტი „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“.

კანონპროექტის თანახმად, ჯარიმებისგან და საურავებისგან თავისუფლდებიან ის მოქალაქეები, რომლებთაც აღნიშნული ფინანსური სახდელი კომპანია „სითი პარკის“-გან 2018 წლის 10 აპრილამდე დაეკისრათ. ცვლილებები რამდენიმე ათას მოქალაქეს შეეხება რაც ჯამში, დაახლოებით 850 ათას ლარს შეადგენს.

სანთელი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბიჭიკო დიასამიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი

ბიჭიკო დიასამიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ტარიელ დოლიძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ემერიტუს პროფესორ

ბიჭიკო რაფიელის ძე დიასამიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის შვილებს, შვილიშვილებს, ოჯახის წევრებს და მეგობრებს. უფალმა გაანათლოს მისი სული.

ქ. ბათუმის ი. ჭავჭავაძის 78/88 მე-8 სადარბაზოს უახლოესი მეზობლების — ართმელაძის, დოლიძის, კუხალაშვილის და სხვათა ოჯახები თანაუგრძნობენ ასმათ დიასამიძისა და ზაზა მაქაძის ოჯახს მამისა და სიმამრის

ბიჭიკო რაფიელის ძე დიასამიძის

გარდაცვალების გამო.

„მოით, მოქუჩდით, ამბავს ავწერ ადრინდელსა“

რუბრიკას უძღვება ქეთევან ყუბანეიშვილი

ქამრიანი სონა და ძველი ტფილისის კოლორიტები

რუბრიკის წინა თავში კინტო ვახსენე და მოდით, ერთად „მოვაცილოთ დავიწყების სუდარა“ იმ ადამიანებს, რომლებმაც ტფილისის კოლორიტი შექმნეს.

„დახე, ჩვენი ქალაქი რა რიგად გამოცვლილა,
ვერავის ვსცნობ, არც მიცნობენ, კინტოებით გავსილა!“
(რ. ერისთავი)

მაშ ასე, ვიწყებ კინტოებით.

კინტო (წარმომავლობით სპარსელი), ეს თავზე ხილითა თუ თევზეულით თაბახდადებული, ქუჩა-ქუჩა მოსიარულე ვაჭარი, ის გაქსუებული და დაღლარა თახსირი გახლდათ, რომელიც ჩვენი თბილის-ქალაქის წიაღში მაშინ წარმოიშვა, როცა ვაჭრობამ ხელობას გაუსწრო.

კინტოს, ძირითადად, მაღალსაყელოიანი ჩითის პერანგი ეცვა, რომელსაც შესაკვრელი გვერდზე ჰქონდა, საკინძე ყოველთვის ჩახსნილი; ეცვა განიერი შავი შარვალი, თავზე „კიზიროკიანი შლიაპკა“, ფეხზე უქუსლო ჩუსტები, გულზე საათი ძეწკვით, წელზე აბრეშუმის სარტყელი და სარტყელშივე გაყრილი ხელსახოცი.

„ჩემი ცოლი ანანა, ხან მწყალობს და ხან არა“—

აი, ამდაგვარ სიმღერებს მღეროდა ქუჩებში გაზრდილი კინტო, რომელსაც „მაინცა და მაინც დიდი სიბოროტის ჩადენა არ შეუძლიან“. იგი მცირე უნარის მქონე ვაჭარი გახლდათ, რომელიც კმაყოფილდებოდა იმ ორგროშიან ყოველდღიურ მოგებას, რომელსაც იმავე დღესვე ფლანგავდა ყომარბაზებში თუ სამიკიტნოებში. მოკლედ, ასეთი შვა კინტო ჩვენმა თბილისქალაქმა, რომლის მოსწრებული სიტყვა-პასუხი ყოველთვის უხამსი იყო (მაგალითები არ გვინდა), თავად კი — მხდალი და მშიშარა.

— რა ღირს, შვილო, ეს საქონელი? — ეკითხება ყარაჩოღელს ქალი, რომელსაც თან ლამაზი ქალიშვილი ახლავს.

— რვა აბაზი, დედი.

— ექვს აბაზად არ იქნება?!



— ეს ქალი რა არის შენი?

— შვილია.

— შეიძლება!

ვახ, რა მარიფათის კაცია ძველი ტფილისის ძველი ყარაჩოღელი, რომელსაც Тифлисская знать ვერც კი არჩევდა კინტოსგან და რომელიც ჩვენმა თბილის-ქალაქმა თავად გამოარჩია და განსაჯა.

ჰო და ჩვენც განვსაჯოთ.

ყარაჩოღელი / ყარაჩოხელი (შავჩოხიანი) — ეს ქართულ საუკუნოვან ადათ-წესებზე აღზრდილი ხელოსანია, ღირსების მცველი, მორალის კაცი, რომელსაც ეცვა შავი ჩოხა, შავი ახალუხი წითელი გულისპირით, შავი შარვალი, წელზე შემორტყმული ვერცხლის ქამარი, ზედ დაკიდული წითელი ბაღდადი და, რა თქმა უნდა, ბუხარული ქუდი.

ყარაჩოღელები ხელოსნურ ამქარში (თანამოსაქმე) წევრიანდებოდნენ, რომელსაც საერთო სალარო ჰქონდა და ამ სალაროდან ეხმარებოდნენ ქვრივ-ობლებსა თუ დაჩაგრულებს. თავად ძალმომრეობის მოძულე, მაგრამ განთქმული კრივში, რომელიც პატიოსნად შრომობდა და ხელოსნის პროფესიას ორთაჭალის ბაღებსა და მტკვარზე მოცურავე ტივებზე ქეიფს უხამებდა. უყვარდა ლხენა და უყვარდა მღერა —

ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ,
დარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ!
ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ!
აბა მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ!
(გრ. ორბელიანი).

მოკლედ, ყარაჩოღელი ის კაცია, რომლისთვის მთავარია იმქვეყნად წასვლის შემდეგ დარჩეს მისი ღირსება და კარგი კაცობა.

ქამრიან სონას ხომ იცნობთ? ჰო, ყარაჩოღელ სონას!

ქამრიანი სონა ხომ ის ერთადერთი ქალი გახლდათ, რომელიც დიდი გავლენითა და სახელით სარგებლობდა ყარაჩოღელთა შორის. მის მიხრა-მოხრას კაცური ამპარტავნობა კი დაჰკრავდა, ხმაც ბოხი ჰქონია თურმე, მაგრამ არღანზე ისეთს დაამღერებდა, რომ გულს ამოგიღებდაო.

ამბობენ, სონა ბევრს თვალს უვსებდაო, ბევრს გულსაც უკლავდაო და ქუჩაში რომ გაივლიდა, ყველას თვალი მას მიჰყვებოდაო, მაგრამ ყარაჩოღელის ქამარი ყველას შიშის ზარს სცემდა და თუ ვინმე თავხედი არშიყს მაინც გაბედავდა, ერთ ხელს მოხდენილად თეძოზე შემოიდგამდა, მეორით საკინძით იმ თავხედს მიიზიდავდა და ისეთ სიტყვას ეტყოდა, მიწის გასკდომას ანატრებდაო, მააააშ!

ჰო, იმასაც ამბობენ, რომ სონას ერთი ყარაჩოღელი ჰყვარებია, რომელიც უდროოდ გარდაცვლილა, მისი არღანი აუღია და ყარაჩოღელთა ამქარს ამ დროიდან შეერთებიაო, მაგრამ მერე ვიღაც შურიანს ის არღანი მოუპარავს და მტკვარში გადაუგდიაო. შეურაცხყოფილ სონას ტფილისი დაუტოვებია და საცხოვრებლად ფოთში გადასულაო...

აი, ასეთი ამბები ხდებოდა ერთ დროს ჩვენ თბილის-ქალაქს. იმედია, მოგეწონათ ტფილისის კოლორიტების ისტორია, ხოლო შემდეგ თავში ტფილისელ ტოლუმბაშებზე (თამადა) გიამბობთ, საინტერესოდ გიამბობთ და ამას გპირდებით.

„დროის მილმა“ - ლონდონის აუქციონზე

15 ივლისს ნინიკო მორბედაძის „დროის მილმა“ ლონდონი ფილიპსის თანამედროვე ხელოვნების აუქციონზე „New Now“-ზე წარდგება.

აუქციონი მოიცავს 233 ლოტს და ისეთი მნიშვნელოვანი სახელების გვერდით, როგორიცაა გერჰარდ რიხტერი, ოლაფურ ელიასონი, დემიენ ჰერსტი, ანიშ კაპური, ჯორჯ კონდო, ოსკარ მურილიო და მარკ ქვინი, ასევე წარმოდგენილია ახალი სახელები, მათ შორის ნინიკო მორბედაძე.

„New Now“ აუქციონი წელიწადში ორჯერ ლონდონსა და ნიუიორკში იმართება. აუქციონზე თანამედროვე ხელოვნების ნამუშევრების ფართო არჩევანია წარმოდგენილი.



ბინას 140 დევნილი ოჯახი მიიღებს

დევნილთა, ეკონომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო წყალტუბოში, ახალაშენებულ კორპუსებში ბინას 140 დევნილ ოჯახს გადასცემს.

საცხოვრებელი ფართის მიღების მოთხოვნით განაცხადი იმერეთის რეგიონში რეგისტრირებულმა 629 იძულებით გადაადგილებულმა ოჯახმა შეავსო. დევნილი ოჯახების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, თითოეულ აპლიკანტს წინასწარი ქულა მიენიჭა.

აღნიშნული ქულები სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა. სიის გამოქვეყნების შემდგომ, 15 სამუშაო დღის ვადაში, დევნილ ოჯახებს დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის შესაძლებლობა ჰქონდათ. შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, დევნილი ოჯახებისთვის მინიჭებული წინასწარი ქულები გადაფასდა.

წყალტუბოში ბინის მიღების მსურველი დევნილი ოჯახებისთვის მინიჭებული ქულები 140 ბინიდან 40 ერთოთახიანია, 80 — ოროთახიანი, 20 კი — სამოთახიანი.

სამინისტროში განმარტავენ, რომ წყალტუბოში კიდევ ექვსი კორპუსის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს, სადაც ბინას დამატებით 420 იძულებით გადაადგილებული ოჯახი მიიღებს.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

იღბლიანი ავსტრალიელი

სიდნეიში ქალმა ლატარიაში 50 მილიონი ავსტრალიური დოლარი მოიგო, თუმცა ამის მიუხედავად სამსახურიდან წასვლას არ აპირებს. იღბლიანმა ქალმა, რომელსაც თავისი ვინაობის გამხელა არ სურს, ლატარიის ბილეთი ცხოვრებაში პირველად იყიდა და ჯეკპოტი მოიგო.

სოლიდური თანხის მოგების მიუხედავად, ის მუშაობის გაგრძელებას გეგმავს.

„სიმართლე გითხრათ, საღად ვერ ვაზროვნებ, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ მუშაობას გავაგრძელებ“, — აღნიშნა გამარჯვებულმა. ის ასევე მიიჩნევს, რომ მხოლოდ იმიტომ მოიგო, რომ ახალბედებს უმართლებს.

აქამდე უცნობი სახეობის დინოზავრი

ბრაზილიელ მეცნიერთა ჯგუფმა ახალი, 115 მილიონი წლით დათარიღებული წიაღისეულის აღმოჩენის შესახებ განაცხადა, რომელიც დინოზავრის დღემდე უცნობ სახეობას წარმოადგენს.

Aratasaurus museunacionali საშუალო ზომის ტერაპოდებს მიეკუთვნება. არქეოლოგების ცნობით, ახალგაზრდა ცხოველის წონა დაახლოებით 34 კილოგრამი იყო, სიმაღლე კი 3 მეტრს აღემატებოდა. სპეციალისტები მიიჩვენენ, რომ აღმოჩენა ტეროპოდების ევოლუციის ისტორიას უფრო გასაგებს გახდის. მათივე თქმით, ეს კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ მილიონობით წლის წინათ რეგიონში ბევრი სხვადასხვა სახეობა ბინადრობდა. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ არატაზაურუსი დინოზავრთა იმავე ჯგუფს მიეკუთვნება, რომელიც ტირანოზავრებს, ველოცირაპტორებს და დღეს არსებულ ფრინველის რამდენიმე სახეობას აერთიანებს. თუმცა ახალი სახეობის წინაპრის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი.

მექსიკაში არქეოლოგებმა უძველესი შახტი იპოვეს



არქეოლოგების საერთაშორისო ჯგუფმა მექსიკაში, კინტანა-პოს სანაპიროზე წყალქვეშა გამოქვაბულები შეისწავლა და 12 000 წლის წინათ დატბორილი შახტი იპოვა. სპეციალისტების შეფასებით, შახტი დატბორვამდე 800 წლით ადრე ფუნქციონირებდა.

არქეოლოგების თქმით, შახტში ადამიანები ხელით მუშაობდნენ. სიღრმეში ჩასვლისას კი მუშაობა სულ უფრო საფრთხის შემცველი ხდებოდა, რადგან ადამიანები შახტის დამაგრების ტექნოლოგიას არ ფლობდნენ. ამიტომ მათ ეს შახტი მიატოვეს და წიაღისეულის მოპოვების მიზნით ახალ ადგილს დაუწყეს ძებნა.

პრინცესა დიანამ ორსულობის დროს თავის მოკვლა სცადა

პრინცესა დიანამ თავის მოკვლა სცადა, როდესაც პრინც უილიამზე იყო ორსულად, თუმცა დროული ჩარევის შედეგად ტრაგედიის თავიდან აცილება მოხერხდა.

ამის შესახებ დიანას საიდუმლო დღიურშია ნათქვამი, რომელიც New Idea-ს რედაქციამ მოიპოვა. გავრცელებული ინფორმაციით, დღიურში ჩანაწერების გაკეთება პრინცესა დიანას ფსიქოთერაპევტმა დეპრესიის დასაძლევად ურჩია, ვინაიდან დიანა ხშირად ფიქრობდა თვითმკვლელობაზე. **„ისეთი დათრგუნვილი ვიყავი, რომ ყველაფრის გაკეთება შემეძლო. საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენება ვცადე“,** - წერდა დღიურში პრინცესა დიანა. პრინცი უილიამი 1982 წელს დაიბადა, პრინცესა დიანა კი 1997 წელს ავტოსაგზაო შემთხვევას ემსხვერპლა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0624; ევრო - 3.4593;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8617;
100 რუბლი - 4.3016; თურქული ლირა - 0.4460;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8014;
1000 სომხური დრამი - 6.3256.

ამინდი 14 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+27
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+27
მთიანი რაიონები -	ღამე	+14,	დღე	+26
თბილისი:	ღამე	+21,	დღე	+31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge